თემატური მოკვლევა

"გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე"

2024 წელი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ "ეგერია სოლუშენსი" და შესაძლოა რომ არ გამოხატავდეს USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის, USAID-ის ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიში მოამზადა - შორენა კახიძემ

თემატური მოკვლევის შესახებ

2024 წლის 1 მაისს თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის, ასევე 34-ე მუხლის, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე, დაიწყო თემატური მოკვლევა "გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე".

თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა:

ფიქრია ყუშიტაშვილი	თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარი მომხსენებელი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
თინიკო ხანჯალიაშვილი	თემატური მოკვლევის ჯგუფის თანამომხსენებელი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
ნელიკო აბეჩხრიშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
მედეა ჩაფურიშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
ნონა გოგატიშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
გელა აზიკური	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
ფიქრია ყუშიტაშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
მარიამ ლილუაშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
თამარ ხატიაშვილი	გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე:

https://telavi.gov.ge/ge

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა 7

თემატური მოკვლევის მიზანი 8

თემატური მოკვლევის ამოცანები 8

თემატური მოკვლევის მეთოდოლოგია 8

გენდერული მეინსტრიმინგის არსი და მნიშვნელობა 9

მუნიციპალიტეტების როლი გენდერულ მეინსტრიმინგსა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში 11

გენდერული მეინსტრიმინგის სამართლებრივი საფუძვლები 13

საერთაშორისო დონეზე 13

ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე 17

მუნიციპალიტეტის შესახებ 21

ზოგადი ინფორმაცია 21

ინსტიტუციური მოწყობა 21

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 23

მუნიციპალიტეტის ასიგნებების ანალიზი 26

კულტურა 29

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 29

მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო 36

საერთაშორისო დონეზე 36

ადგილობრივ დონეზე 37

მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო 40

არსებული გარემოს მიმოხილვა 41

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები 41

თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 42

თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 45

სპორტი ... 48
სფეროს გენდერული მნიშვნელობა ... 48
მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო ... 51
საერთაშორისო დონეზე ... 51
ადგილობრივ დონეზე ... 56
მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო ... 57
არსებული გარემოს მიმოხილვა ... 57
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები ... 58
თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები ... 58
თემატური მოკვლევის რეკომენდაციები ... 61
განათლება ... 64
სფეროს გენდერული მნიშვნელობა ... 64
მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო ... 67
საერთაშორისო დონეზე ... 67
ადგილობრივ დონეზე ... 68
მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო ... 68
არსებული გარემოს მიმოხილვა ... 69
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები ... 69
თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები ... 69
თემატური მოკვლევის რეკომენდაციები ... 70
გამოყენებული წყაროები ... 73
სამართლებრივი აქტები ... 73
კვლევები და პუბლიკაციები ... 74
დანართი #1 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები (ToR) ... 75
დანართი #2 - მოკვლევის ფარგლებში წერილობითი ფორმით შემოსული დასაბუთებული მოსაზრებების ავტორები ... 82
დანართი #3 - მოკვლევის ფარგლებში ზეპირი მოსმენის დღის წესრიგი ... 82
დანართი #4 - მოკვლევის ფარგლებში ზეპირ მოსმენებზე მოწვეული პირები ... 84
დანართი #5 - ზეპირი მოსმენის კითხვები ... 84
კითხვები მშობლებთან ... 84
კითხვები არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან ... 85

დანართი #6 – კულტურის სფეროს პროგრამები/ქვეპროგრამები 86
დანართი #7 – სპორტის სფეროს პროგრამები/ქვეპროგრამები 92
დანართი #8 – მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქვეპროგრამა 97

შემაჯამებელი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და კაცების კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად სწორედ მუნიციპალიტეტების მიერ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, ეს კი თავის მხრივ მუნიციპალიტეტის მხრიდან კარგი მმართველობის განხორციელებას მოითხოვს.

მუნიციპალიტეტი კი კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას თავის საქმიანობაში, ვინაიდან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროები, მაგალითად, კულტურა, სპორტი თუ განათლება გენდერულად მნიშვნელოვანია, შესაბამისად აღნიშნული მოითხოვს გენდერული თანასწორობის ასპექტების ინტეგრირებას და მუნიციპალიტეტის პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა მიზნად დაისახა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში[1] მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პოლიტიკის მხარდაჭერა.

მოკვლევის ფარგლებში საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გაცნობის, საერთაშორისო და ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული მარეგულირებელი ნორმების, კვლევების და ანალიტიკური დოკუმენტების გაანალიზების, დაინტერესებული მხარეებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შესწავლის და ინტერვიუების საფუძველზე მოკვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე კულტურის, სპორტის და განათლების სფეროები, მიუხედავად მათი გენდერული მნიშვნელობისა, არ არის გენდერულად მგრძნობიარე, კერძოდ, გამოვლენილი მიგნებების მიხედვით შესაბამისი გენდერული ღიობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი სერვისების არათანაბარი ხელმისაწდომობაა, ეს ერთის მხრივ გამოწვეულია როგორც თავად სერვისების ნაკლები მრავალფეროვნებით, ასევე ინფრასტრუქტურის ნაკლები ხელმისაწვდომობით, ასევე ნაკლებია ცნობიერება სფეროების გენდერული მნიშვნელობის შესახებ, რაც თავის მხრივ განაპირობებს გენდერულად ბრმა პოლიტიკის გატარებას.

მოკვლევის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი აქტივობებია განსახორციელებელი მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამის სფეროებში გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები, რაც გულისხმობს როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მნიშვნელოვან ჩართულობას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის როგორც შემუშავების, ასევე იმპლიმენტაციის პროცესში, გენდერის საკითხების ინტეგრირებას პოლიტიკის სრულ ციკლში, გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების ფართო გამოყენებას.

[1] თემატური მოკვლევის მიზნებისთვის, განათლების მიმართულება მოიცავს მხოლოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს

თემატური მოკვლევის მიზანი

თემატური მოკვლევის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში[2] მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პოლიტიკის მხარდაჭერა.

თემატური მოკვლევის ამოცანები

- შეისწავლოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცებისათვის (მ.შ. სპეციალური საჭიროების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები) მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხი;
- შეისწავლოს, თუ რამდენად ხდება მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ სერვისების შეთავაზება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით;
- გამოავლინოს ის შესაძლო ფაქტორები/ბარიერები, რაც გავლენას ახდენს შესაბამისი პირების მიერ მუნიციპალური სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე;
- მოახდინოს დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი;
- მიგნებების საფუძველზე სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით შესაბამისი მხარეებისათვის შეიმუშავოს რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის მეთოდოლოგია

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, დებულების[3] შესაბამისად უფლებამოსილია შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის; გამოითხოვოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია; განიხილოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის, მუნიციპალური პროგრამების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები; გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე სპეციალისტები ან/და ექსპერტები, ასევე საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, შექმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი.

[2] თემატური მოკვლევის მიზნებისთვის, განათლების მიმართულება მოიცავს მხოლოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს

[3] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4113101?publication=1

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მეორადი მონაცემების შესწავლის ანალიზი და ჩატარდა თვისებრივი ინტერვიუები.

თემატური მოკვლევის პროცესი მიმდინარეობდა 2024 წლის 1 მაისიდან 2024 წლის 21 ივნისის ჩათვლით.

თემატური ჯგუფის მიერ შემუშავდა თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები (იხილეთ დანართი #1), მომზადდა სპეციალური კითხვარი (იხილეთ დანართი #1), რომელიც დაეგზავნა დაინტერესებულ მხარეებს, მ.შ. ფოკუს ჯგუფს, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, შეგროვდა მონაცემები დაინტერესებული მხარეებიდან (იხილეთ დანართი #2), გაანალიზდა მიღებული ინფორმაცია, მომზადდა დამატებითი კითხვები ზეპირი მოსმენების ჩასატარებლად (იხილეთ დანართი #3, დანართი #4, დანართი #5) და მოხდა დამატებით ცალკეული დაინტერესებული მხარეების ზეპირი მოსმენები.

ანალიზის მიზნებისთვის, მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა, ერთი მხრივ, ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი თუ ინსტიტუციური ჩარჩოები, ხოლო მეორე მხრივ - მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ბარიერები. ასევე გაანალიზდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მაგალოთები და შესაბამისი გამოცდილება სფეროების გენდერული მნიშვნელობის შესახებ.

გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები.

გენდერული მეინსტრიმინგის არსი და მნიშვნელობა

გენდერული თანასწორობა სახელმწიფოს მიერ დასახული მნიშვნელოვანი მიზანია, რომლის მისაღწევად რიგი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარება არის საჭირო. გენდერული თანასწორობის მიღწევის და შესაბამისად, კარგი მმართველობის დამკვიდრების ერთ-ერთი ინსტრუმენტს კი გენდერული მეინსტრიმინგი წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ თანახმად[4], სახელმწიფო უზრუნველყოფს მმართველობის სხვადასხვა სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვას. ამ კუთხით იგი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ყველა სფეროში და ყველა დონეზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების , მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გენდერული მეინსტრიმინგისა და ანალიზის ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვას. სახელმწიფო ხელს უწყობს საჯარო მმართველობაში გენდერული გავლენის შეფასებისა და გენდერული ბიუჯეტირების პრინციპების დანერგვას. გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტიანი და კოორდინირებული პოლიტიკის წარმართვა

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0

უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის დაცვის სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმებით.

გენდერული მეინსტრიმინგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, პოლიტიკის, მარეგულირებელი ნორმებისა და პროგრამების მომზადების, შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებში გენდერის, როგორც ანალიზის კატეგორიის, ინტეგრაციაა.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მიხედვით, „გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგი არის ქალებისა და კაცებისთვის იმ შედეგების შეფასების პროცესი, რომლებიც ყველა სფეროსა და ყველა დონეზე მოჰყვება ნებისმიერ დაგეგმილ ქმედებას, მათ შორის კანონმდებლობას, პოლიტიკურ მიმართულებებსა თუ პროგრამებს. ეს სტრატეგია გულისხმობს, ქალებისა და კაცების წინაშე მდგარი პრობლემების, მათ მიერ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებას პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში იმგვარად, რომ თანაბარი სარგებელი მოუტანოს ქალებსა და კაცებს, არ დაუშვას უთანასწორობა. საბოლოო მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა.“[5]

ევროსაბჭო გენდერულ მეინსტრიმინგს განსაზღვრავს, როგორც „(რე)ორგანიზებას, გაძლიერებას, განვითარებას და შეფასებას პოლიტიკის პროცესებისა, იმგვარად, რომ გენდერული პერსპექტივა ინკორპორირებული იყოს პოლიტიკის ყველა საფეხურსა და სფეროში, იმ აქტიორების მხრიდან, რომლებიც პოლიტიკის შექმნაში არიან ჩართულები.“[6]

განმარტებებიდან ცხადია, რომ გენდერული თანასწორობა გრძელვადიანი განვითარების მიზანს, ხოლო, გენდერული მეინსტრიმინგი სპეციფიკურ კონტექსტზე მორგებულ სტრატეგიულ მიდგომებს წარმოადგენს და მოიცავს ინსტრუმენტებს ამ მიზნის მისაღწევად.

აღნიშნულ ინსტრუმენტებს შორის არის გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული გავლენის შეფასება, გენდერული აუდიტი.

ევროსაბჭოს განმარტებით, „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში. ის გულისხმობს აგრეთვე ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ჭრილში, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის“.

გენდერული ბიუჯეტირება, როგორც პროგრამული ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილი, გენდერული თანასწორობისკენ მიმართული პოლიტიკისა და საბიუჯეტო სახსრების განაწილების შესაბამისობის საუკეთესო მექანიზმია. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ განაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს

[5] ECOSOC Agreed Conclusions 1997/2
[6] Council of Europe. Gender mainstreaming: conceptual framework, methodology and presentation of good practices. Strasbourg, 1998.

გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას ყველა სფეროსა თუ სექტორში. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გენდერული ბიუჯეტირების უპირატესობებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლება, კარგი მმართველობის დამკვიდრება, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობის ზრდა, გენდერული თანასწორობის მიღწევა, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის, საბიუჯეტო პროცესების, სტატისტიკისა და ინდიკატორების გაუმჯობესება და სხვ.

გენდერული გავლენის შეფასება განიხილება როგორც პროცესი, რომელიც გულისხმობს გენდერული კრიტერიუმების მიხედვით, არსებული სიტუაციისა და ტენდენციის შედარებასა და შეფასებას იმ მოსალოდნელ შედეგებთან, რომელსაც მივიღებთ რეკომენდირებული პოლიტიკის დანერგვის შედეგად.

გენდერული აუდიტი კი არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შეფასდეს და შემოწმდეს ორგანიზაციაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალიზაციის საკითხი, მათ შორის ორგანიზაციის პოლიტიკაში, პროგრამებში, პროექტებში ან/და სერვისების მიწოდებაში, სტრუქტურებში, პროცესებსა და ბიუჯეტებში.

დღეს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევას. არსებითი გენდერული თანასწორობა უფრო მეტია, ვიდრე ფორმალური ანუ de jure გენდერული თანასწორობა. ფორმალური გენდერული თანასწორობა ქვეყნის ნორმატიულ სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპების აღიარებასა და ქალისა და კაცისთვის თანაბარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული უფლებებით სარგებლობის გარანტიების შექმნას გულისხმობს. არსებითი გენდერული თანასწორობა კი თავის თავში მოიცავს de jure გენდერულ თანასწორობას და გარდა ამისა, ასევე, გულისხმობს თანასწორი გარემოს შექმნას არა მხოლოდ პრინციპების აღიარების, არამედ ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შედეგებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისითაც.

მუნიციპალიტეტების როლი გენდერულ მეინსტრიმინგსა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში

მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრას დადებითი გავლენა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და უფრო მეტად განამტკიცებს ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობას გენდერული თანასწორობის კუთხით. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით მუნიციპალიტეტებს უდიდესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და კაცების კეთილდღეობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებას. საკითხები, რომლებსაც ადგილობრივმა პოლიტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მრავალფეროვანია და მოიცავს: ქალთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ

მონაწილეობას, სოფლად მცხოვრებ ქალთა მხარდაჭერას, ქალების გენდერული ძალადობისგან დაცვას, სამართლებრივ აქტებში პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის თავიდან არიდებას, მიზანმიმართული პოლიტიკითა და პროგრამებით ქალების პოზიციების გაუმჯობესებას, მათი განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას და ა.შ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპის ინტეგრირებას პოლიტიკის დაგეგმვაში და შესაძლებლობას, გაიზომოს ადგილობრივი პოლიტიკის პროგრესი გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. ის იძლევა საშუალებას, დადგინდეს, თუ რა აქტივობებია განსახორციელებელი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯები, მოხდეს მათ განხორციელების მონიტორინგი და შეფასდეს მიღწეული შედეგები.

ადგილობრივ დონეზე არსებული მმართველობის მოდელი, განსაკუთრებით კი ფისკალური პოლიტიკის სფეროში, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივად გენდერული ბიუჯეტირების მიდგომის დანერგვას.

საჯარო ფინანსების რეფორმის ფარგლებში, დეცენტრალიზაცია იძლევა გამჭვირვალობის დონის ამაღლების ფართო შესაძლებლობას და ამასთანავე, პოტენციურად უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეებზე მეტ ჩართულობას.

ადგილობრივი მმართველობა უფრო პასუხისმგებლიანია საჯარო პოლიტიკისა და სერვისების მიწოდების საკითხებში. ადგილობრივი მმართველობების სიახლოვე მოსახლეობის ყოველდღიურობასთან იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ჩნდება შესაძლებლობა, პირდაპირ დაკმაყოფილდეს ქალთა და კაცთა საჭიროებები საჯარო პოლიტიკისა და სერვისების მიწოდების ფარგლებში. ამ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენების დიდი რესურსი არსებობს, რაც თავისთავად მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობას[7].

როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა სერვისებზე ქალებისა და კაცების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნული ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და შესაბამის დღის წესრიგში, პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმაში, ევროპული ქარტიაში ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ და რიგ სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე.

მუნიციპალიტეტის ძირითად სერვისებში გენდერული მეინსტრიმინგის ინტეგრირების დროს ფოკუსი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რამდენად არის გენდერული თანასწორობის საკითხები გათვალისწინებული მოსახლეობისათვის შეთავაზებულ სერვისებში და რა სახის შედეგი და საბოლოო ეფექტი შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულს.

კვლევები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტები გენდერული მეინსტრიმინგის შედეგად აღწევენ როგორც შედეგს, ასევე იღებენ შესაბამის ეფექტს. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტებმა შეიძლება მიაღწიონ შედეგებს ძირითადი მომსახურების ხარისხის გაზრდის, რესურსების ოპტიმიზაციისა და

[7] https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/tools-methods/gender-budgeting

დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილების სახით. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ეს შედეგები იწვევს უფრო დიდ გენდერულ თანასწორობას (ეფექტს).

ძირითადი მომსახურების ხარისხი - გენდერული მეინსტრიმინგის შედეგად ძირითადი სერვისი კვალიფიცირებულია, შესაბამისად განსაზღვრულია შესაბამისი სწორი ლოკაცია სერვისის მისაწოდებლად და ასევე მიზნობრივია, რაც თავის მხრივ ამაღლებს ხარისხს.

თანაბარი შესაძლებლობები - ძირითადი სერვისების ხარისხის ზრდა თავის მხრივ გულისხმობს, რომ სერვისის ფარგლებში შეთავაზებული აქტივობები ისე შეიძლება დაიხვეწოს და განვითარდეს, რომ უპასუხოს გენდერულ განსხვავებულ საჭიროებებს, ეს კი შესაბამისად სერვისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს როგორც ქალებს, ასევე კაცებს.

გაზრდილი გენდერული თანასწორობა - თანაბარ შესაძლებლობებს მივყავათ გენდერული თანასწორობის ზრდისკენ, ვინაიდან ქალებსა და კაცებზე იზრდება შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა მათი სქესისგან დამოუკიდებლად.

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე მუშაობა მუნიციპალიტეტებისაგან ითხოვს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ კონტექსტზე, გაითვალისწინებს მოსახლეობის წინაშე არსებულ ბარიერებს და იქნება მგრძნობიარე ქალებისა და კაცების საჭიროებებსა და გამოწვევებთან მიმართებით.

კვლევების აჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული შედეგებისა და ეფექტების მიღწევა შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- არსებობს ნება გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად;
- ამაღლებულია ცნობიერება გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებით;
- შემუშავებულია გენდერული მეინსტრიმინგისათვის შესაბამისი მეთოდები და პროცედურები;
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით განსაზღვრულია შესაბამისი მიზნები და ინდიკატორები შედეგებისა და საბოლოო ეფექტის შესაბამისად;
- გენდერული მეინსტრიმინგისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი ასიგნებები;
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული შედეგები და საბოლოო გავლენები (ეფექტი) დოკუმენტირებულია.

გენდერული მეინსტრიმინგის სამართლებრივი საფუძვლები

გენდერული მეინსტრიმინგის აუცილებელ წინაპირობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შესაბამისი სამართლებრივი გარემოს არსებობაა. სამართლებრივ გარემოში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე.

საერთაშორისო დონეზე

საერთაშორისო დონეზე არსებულ სამართლებრივ მარეგულირებელ ნორმებზე საუბარი **გაეროს მდგრადი განვითარების SDG 2030** მიზნებით შეგვიძლია დავიწყოთ, ვინაიდან „დღის წესრიგი – 2030“

ხუთ ძირითად საკვანძო პრინციპს მოიცავს, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „არავინ უნდა დარჩეს უყურადღებოდ – ყველას უნდა შეეძლოს შიმშილისა და სიღარიბის გარეშე ცხოვრება. არავინ უნდა დარჩეს პროცესებს მიღმა ან მოწყდეს სოციალურ განვითარებას“.

„დღის წესრიგი – 2030“ მე-5 მიზნის[8] ამოცანებიდან საინტერესოა ამოცანა (5.C), რომლის თანახმად, „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალებისა და გოგონების შესაძლებლობების მხარდაჭერისთვის ჯანსაღი პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება – გაძლიერება“ უნდა განხორციელდეს. აღნიშნულის მისაღწევად კი ინდიკატორი 5.c.1 ზომავს, თუ რამდენად აქვს ქვეყანას დანერგილი სისტემა, იმისათვის რომ გაიზომოს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებაზე მიმართული საბიუჯეტო ასიგნებები და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე უნდა ვახსენოთ **ადის-აბებას სამოქმედო პროგრამა განვითარების დაფინანსებისთვის[9],** რომელიც მოიცავს საკითხებს როგორც საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინების, ასევე აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტების გაძლიერების თაობაზე.

აღსანიშნავია ასევე **პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა[10] [11]** (BPfA) – ე.წ. „დღის წესრიგი ქალთა უფლებების გაძლიერებასთან დაკავშირებით“, როგორც გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტი, ქალთა თემატიკასთან დაკავშირებულ 12 მნიშვნელოვან სფეროს მოიცავს: ქალები და სიღარიბე; ქალთა განათლება და ტრენინგი; ქალები და ჯანდაცვა; ქალთა წინააღმდეგ ძალადობა; ქალები და შეიარაღებული კონფლიქტები; ქალები და ეკონომიკა; ქალები ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღებაში; ქალთა წინსვლის ინსტიტუციური მექანიზმები; ქალთა უფლებები; ქალები და მედია; ქალები და გარემო; გოგოები.

პეკინის სამოქმედო პლატფორმიდან აღსანიშნავია შემდეგი ჩანაწერი: თავი VI[12] „ფინანსური შეთანხმებები: 345 სამოქმედო პლატფორმის სრული და ეფექტური განხორციელება მოითხოვს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ საბიუჯეტო გადაწყვეტილებების პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირებას, ისევე, როგორც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პროგრამების ადეკვატურ დაფინანსებას“.

მნიშვნელოვან ჩანაწერებს მოიცავს ასევე **„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“** ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR)[13] [14].

---

[8] UN: Goal 5: Achieve gender equality and empower all women and girls, https://www.un.org/sustainabledevelopment/gender-equality/

[9] **https://sustainabledevelopment.un.org/index.php?page=view&type=400&nr=2051&menu=35**

[10] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს

[11] Gender Equality in Ireland: http://www.genderequality.ie/en/GE/Pages/BeijingPlatform

[12] UN: Beijing Declaration and Platform for Action: https://www.un.org/en/events/pastevents/pdfs/Beijing_Declaration_and_Platform_for_Action.pdf

[13]CEMR: „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“: https://www.ccre.org/img/uploads/piecesjointe/filename/charte_egalite_geo.pdf

[14] „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ" ევროპულ ქარტიაზე ხელმომწერი მუნიციპალიტეტები https://gender.nala.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-

ქარტიის თანახმად, „ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება სრულად უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს თავის პოლიტიკაში, ორგანიზაციასა და პრაქტიკაში. დღევანდელ და მომავლის მსოფლიოში მამაკაცებს და ქალებს შორის რეალურ თანასწორობას ეკონომიკური და სოციალური წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – არა მხოლოდ ევროპულ ან ეროვნულ დონეზე, არამედ რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ თემებში“.

ქარტიის პრინციპებში განსაზღვრულია, რომ: „აუცილებელია გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება იმ წესების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შედგენისას, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობაზე ახდენს გავლენას. მაგალითად, „გენდერული მეინსტრიმინგის“ და „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების“ გამოყენება. ამ მიზნით უნდა გაანალიზდეს და გაითვალისწინონ ქალთა გამოცდილება ადგილობრივ ცხოვრებაში, მათ შორის, საცხოვრებელი და სამუშაო პირობები; შესაბამისად, უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმები და პროგრამები ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ზრდის აუცილებელი ინსტრუმენტია; ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები, სათანადო ფინანსური და ადამიანური საშუალებებით და მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსით“.

გარდა ზოგადი პრინციპებისა, დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების ვალ-დებულებებს მთელ რიგ სფეროებთან, მათ შორის, განათლებასთან, ჯანდაცვასთან, სოციალურ დაცვასთან, მობილობასთან, ურბანულ დაგეგმარებასთან, ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის სათანადოდ დამკვიდრებას.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლზე საუბრობს ასევე **„პარიზის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში“**. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა „ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში არჩეულ ქალთა გლობალურ კონფერენციაში“ მონაწილე მხარეთა მიერ და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლს შეეხება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი სწორედ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა უნდა იყოს – ადეკვატური სერვისების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებას და გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. საჯარო სერვისების განვითარების ერთ-ერთ გზად, მართვისა და მონიტორინგის პროცესში ქალთა ჩართულობა, დაგეგმარებასა და ბიუჯეტირებაში მათი საჭიროებების გათვალისწინება და ასახვა განისაზღვრება.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“[15] (სტამბოლის კონვენცია) მე-8 მუხლის „ფინანსური რესურსები“ თანახმად კი, „მხარეები

%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

გამოყოფენ შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს კომპლექსური პოლიტიკის, ზომებისა და პროგრამების, მათ შორის, ისეთების, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ, ადეკვატური განხორციელებისათვის ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით".

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (The Convention on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women, შემოკლ. CEDAW) კონვენციის[16] თანახმად, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორი უფლება ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს ხელისუფლების ყველა დონის, მათ შორის, მუნიციპალიტეტების, მიერ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ეფექტიანი აღსრულების აუცილებლობაზე. კომიტეტი აქცენტს აკეთებს ამ პროცესში ყველა რელევანტური უწყების, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების, მიერ მდგრადი მხარდაჭერის მიღების აუცილებლობაზეც, რომელთა შორისაცაა, საკმარისი ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა[17].

დამატებით, კომიტეტი გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით მუშაობის პროცესის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციის საკითხს[18]. კომიტეტის მითითებით, დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად უწყებათაშორისი კოორდინაცია, მათ შორის, ლოკალურ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის სისტემატური და ინსტიტუციონალიზებული უნდა იყოს[19].

ევროპის საბჭოს კონგრესის გენდერული ბიუჯეტირების შესახებ რეზოლუცია[20] (Congress of the Council of Europe's Resolution on Gender budgeting) რეკომენდაციას უწევს გენდერული ბიუჯეტირების დანერგვას ადგილობრივ და რეგიონულ ბიუჯეტებში.

გენდერულ ბიუჯეტირებაზე საუბრისას ასევე უნდა შევეხოთ უშუალოდ საჯარო ფინანსების მართვის პროცესთან დაკავშირებით არსებულ მარეგულირებელ ნორმებსაც, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, გენდერული ბიუჯეტირება თავის თავში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და საჯარო ფინანსების მართვას აერთიანებს.

---

[16] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0

[17] Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined eighth and ninth periodic reports of Sweden, CEDAW/C/SWE/CO/89, 2016, პარა. 19.

[18] Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the ninth periodic report of Mexico, CEDAW/C/MEX/CO/9, 2018, პარა. 15; Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined fifth and sixth periodic reports of Estonia, CEDAW/C/EST/CO/56, 2016, პარა. 13.

[19] იქვე.

[20] რეზოლუცია 405 (2016) გენდერული ბიუჯეტირების შესახებ, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესი. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680718ce9

ამ მხრივ საინტერესოა საერთაშორისო დონეზე **საჯარო ფინანსების გენდერული მგრძნობელობის შეფასების მეთოდოლოგია**[21] **(GRPFM – Gender Responsive Public Financial Management),** რომელიც გენდერულად პასუხისმგებლობიანი საჯარო ფინანსების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ემსახურება. კერძოდ, ცდილობს, შეაგროვოს ინფორმაცია, რამდენად შეესაბამება ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემა ხელისუფლების მიზნებს – აღიაროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებები და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას.

ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე

გარდა საერთაშორისო ნორმებისა, გენდერულ ბიუჯეტირებაზე საუბრისას ასევე მნიშვნელოვანია **ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული მარეგულირებელი ნორმების** მიმოხილვაც. ვინაიდან გენდერული ბიუჯეტირება აერთიანებს გენდერულ თანასწორობას და საჯარო ფინანსების მართვას, საინტერესოა ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერები, ერთი მხრივ, საჯარო ფინანსების მართვის და მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის შესახებ.

კერძოდ, **საქართველოს კონსტიტუციის** მე-11 მუხლის „თანასწორობის უფლება“ მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, რიგ საკითხებთან ერთად, განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნებით. ამავე ორგანული კანონის მიხედვით, „საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა“.

საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. აღნიშნული კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. ამავე კანონის მიხედვით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას საჯარო და კერძო სექტორებში შესაბამისი სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებით, რაც, სხვა

[21] https://www.pefa.org/gender

ღონისძიებებთან ერთად, შეიძლება გულისხმობდეს დამსაქმებლისათვის საშეღავათო მექანიზმების დანერგვას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალურ მომზადება-გადამზადებას, გარემოს ადაპტირებას, დამსაქმებლის მიერ ინიცირებული პროგრამის ფინანსურ ხელშეწყობასა და სხვა შეღავათებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის განკარგულება №2328 **„მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“** დოკუმენტის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის მისაღწევად შემუშავებულია საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები, ინდიკატორები და შესაბამისი მაჩვენებლები.

ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, **ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ**[22] შეთანხმების თანახმად, თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლასა და საუკეთესო გამოცდილებაზე, შესაძლოა, მოიცავდეს გარკვეულ საკითხებს ისეთი სფეროებიდან, მაგალითად, როგორიც არის თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებას, თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ფინანსური მდგრადობის კუთხით.

„მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით განვითარების გენდერული ასპექტები, გენდერული საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იქნას პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეტაპზე.

„დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილების თანახმად, 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთ პრინციპად გენდერული თანასწორობაა მითითებული, რომელიც განიმარტება, როგორც დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობა. აქვე აღსანიშნავია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც თავის თავში ითვალისწინებს ადგილობრიც დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, ასევე ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით PEFA და Gender PEFA შეფასებების ჩატარებას.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“** დოკუმენტის მიხედვით[23] ერთ-ერთი

[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0

პრიორიტეტული მიმართულება გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის ფარგლებშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელშესახები ცვლილებების განსახორციელებლად, სტრატეგია უზრუნველყოფს ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ასევე, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერებას.

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში 2015 წელს შესული ცვლილების თანახმად: „სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან/ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი". აღნიშნული მეთოდოლოგია 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის, ხოლო 2013 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენაზე ვრცელდება. შესაბამისად, 2015 წელს განხორციელებული ცვლილება როგორც სახელმწიფო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებსაც ეხება.

მუნიციპალურ დონეზე საჯარო ფინანსების მათვის სისტემაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე აქცენტს ასევე აკეთებს **საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია[24].** დოკუმენტის მიხედვით, გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის მიზანშეწონილია ბიუჯეტირებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით ბიუჯეტის მართვის სისტემაში გენდერული კავშირების (gender tag) სისტემის ჩაშენება, რაც შესაძლებელს გახდის: საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას; ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების გავლენის გაანალიზებას გენდერული თანასწორობის ჭრილში; მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამებშისქესის მიხედვით მონაცემების ასახვას და გენდერული გავლენის ანალიზს; მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამებში სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებას; წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გენდერული ასპექტების ზედამხედველობას; წარმომადგენლობით ორგანოების მიერ გენდერულად მგძნობიარე ანგარიშების შედგენას.

თელავის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია[25] ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალის და კაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალური მიმართულებით, ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალურ პროგრამების და პროექტების დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

[24] https://www.mof.ge/5171

[25] https://www.telavi.gov.ge/ge/opicialuri-dokumentebi

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის[26] მიხედვით, ცალკეულ მიზნებთან ერთად განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობა ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ თანახმად[27], გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებებს შორის არის სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტებში, აგრეთვე ცენტრალურ ბიუჯეტსა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამებისა და ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებულ **„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“[28]** დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ვინაიდან გენდერულად მგრძნობიარე სახელმწიფო პოლიტიკა, არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა, მიზანშეწონილია საკანონმდებლო და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა გენდერული ზეგავლენის შეფასება და საბიუჯეტო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება.

გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებენ კიდევ ორ მნიშვნელოვან ვალდებულებაზე, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკაზე:

- სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება - სახელმწიფომ ნებისმიერ სექტორთან მიმართებით უნდა დაამუშაოს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები და ის ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებული პირებისათვის/მხარეებისთვის[29]. საბოლოო ჯამში, ამგვარი სტატისტიკა სახელმწიფოს დაეხმარება, ერთი მხრივ, არსებული პოლიტიკის ქალებზე ზეგავლენის შესა ფასებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული საჭიროებების გამოსაკვეთად და მიზნობრივი ღონისძიებების დასაგეგმად.
- მონაწილეობის გარანტირება - ეს მიმართულება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პარადიგმის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებენ იმაზე, რომ სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა მონა წილეობას შესაბამისი უწყებების მიერ გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.18 ამ მიმართულებით, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების პროცესი და მისი ინკლუზიურობა ერთერთი არსებითი საკითხია[30].

[26] https://www.telavi.gov.ge/ge/opicialuri-dokumentebi
[27] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0
[28] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0
[29] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 9: Statistical data concerning the situation of women, 1989.
[30] Report of the Working Group on the issue of discrimination against women in law and in practice, A/HRC/35/29, 2017, პარა. 31.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად[31], როგორც კანონის, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ. ნორმატიული აქტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ, ნორმატიული აქტის პროექტის ავტორის/ინიციატორის მოსაზრებით: დგინდება ახალი ან/და სპეციფიკური უფლებები, ვალდებულებები ან შესაძლებლობები, რომლებიც ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ გაუჩნდება ქალს ან მამაკაცს დიფერენცირებულად ან/და უთანასწოროდ; ხორციელდება ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს ნორმატიული აქტის პროექტიდან და უთანასწოროდ ზღუდავს ან უწყობს ხელს ქალისთვის ან მამაკაცისთვის განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ძალადობისგან დაცვის, შემოსავლებისა და სხვა სიკეთის, აგრეთვე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დიფერენცირებულ ან/და უთანასწორო ხელმისაწვდომობას; ნორმატიული აქტის პროექტს აქვს ქალისა და მამაკაცის სამართლებრივ ან ფაქტობრივ თანასწორობაზე სხვა მოსალოდნელი გავლენა.

მუნიციპალიტეტის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

თელავის მუნიციპალიტეტის ფართობი 1095 კმ2-ია, რაც კახეთის რეგიონის 9,68 პროცენტს შეადგენს. თელავის მუნიციპალიტეტში 22 თემი და 29 სოფელია.

მუნიციპალიტეტში, 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, 54200 ადამიანი ცხოვრობს, რაც რეგიონის მოსახლეობის 17,7 პროცენტია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის 1,47 პროცენტს შეადგენს. 34,200 ადამიანი სოფლად ცხოვრობს, 20,000 კი ქალაქ თელავში. მოსახლეობის 52 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო 48 პროცენტს კი კაცები. კაცების 68 პროცენტი, ხოლო ქალების 65 სოფლად ცხოვრობს.

თელავის მუნიციპალიტეტში 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 17.0 პროცენტია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი – 65.9 პროცენტი, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 17.1 პროცენტია.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ეთნიკურად ქართველია და აღმსარებლობით მართლმადიდებელი.

ინსტიტუციური მოწყობა

მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისგან. მ.შ.9 ქალი, 30 კი კაცია. რაც შეეხება მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი პირების გენდერულ გადანაწილებას, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი

[31] https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=37

როგორც პირველი მოადგილე, ასევე დანარჩენი 2 მოადგილე არის კაცი, 5 კომისიის თავმჯდომარიდან მხოლოდ 1 არის ქალი.

მერიის სტრუქტურაზე უნდა აღინიშნოს რომ, მერი და მისი 1 მოადგილე კაცია, ხოლო მეორე მოადგილე არის ქალი.

მერიის 8 სამსახურიდან, 5 ხელმძღვანელი არის ქალი, ხოლო 3 არის კაცი. მ.შ. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი არის ქალი.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით, მერიაში ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი არის გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის ქალი, ქალთა ოთახის მენეჯერი და გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი. მის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია გენდერულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები.

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს გენდერული შემადგენლობა კი შემდეგია: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე არის საკრებულოს თავჯდომარე და არის კაცი, მისი მოადგილე არის ქალი, საბჭოს მდივანიც არის ქალი. საბჭოს წევრებიდან 9 ქალია, ხოლო 5 - კაცი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს დებულება, რომელიც საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის #41 დადგენილებით არის დამტკიცებული[32]. ასევე საბჭოს აქვს საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული 2021-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა.[33]

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის მაჩვენებლის მიხედვით[34] გენდერული თანასწორობის საბჭო 30 პროცენტით არის შეფასებული, კერძოდ კი სისრულის შეფასების ნაწილში საბჭო აკმაყოფილებს მხოლოდ ქულა 1-ის შესაბამის პირობას, კერძოდ კი: 1) ბოლო ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების 50%-მდე ოქმი; 3) საბჭოს მოქმედ შემადგენლობაში წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

2021 წლის შეფასების მიხედვით გენდერული თანაწორობის საბჭოს მაჩვენებელი 60 პროცენტით იყო განსაზღვრული, კერძოდ კი სისრულის შეფასების ნაწილში საბჭო აკმაყოფილებდა ქულა 2-ის შესაბამის პირობას, კერძოდ, კი: 1) ბოლო ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების 51-90%-ის ოქმი; 2) გამოქვეყნებულია შეფასების წლის წინა 2 წლიდან ერთ-ერთი წლის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში 3) საბჭოს დებულებით საბჭოს შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობა განსაზღვრულია არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/3-ით და საბჭოს მოქმედი შემადგენლობა აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას. ასევე მითითებული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „სასურველია, ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასთან ერთად გამოქვეყნდეს წლიური ანგარიშებიც. სხვა ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს საკრებულო“.

[32] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4113101?publication=1
[33] დოკუმენტები საჯაროა და ხელმისაწვდომია https://telavi.gov.ge/ge/opicialuri-dokumentebi
[34] http://www.lsgindex.org/e/cityanalyse/viewonepar/229/?city_id=34&est_obj_id=4

არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, დღეის მდგომარეობით საბჭოს 16 წევრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელია 2 პირი.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

როგორც ცნობილია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები, რომელთა მიზანია: დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა, ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და ა.შ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტების მიხედვით გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებების შესწავლა.

თელავის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის[35] მიხედვით საშუალოვადიან პერიოდში ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების შემდეგი ძირითადი მიმართულებები - ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

რაც შეეხება პრიორიტეტების დაფინანსებას საშუალოვადიან პერიოდში, აღნიშნული მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც დეტალურად შემდეგ დიაგრამაზე არის გამოსახული.

[35] https://telavi.gov.ge/ge/biujetis-proekti



დიაგრამა #1. წყარო: თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი. თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულება, (რომელიც თავის მხრივ მოიცავს ასევე ბიბლიოთეკებს), დაფინანსების მიხედვით მესამე პოზიციაზეა. პრიორიტეტის დაფინანსება საშუალოდ წელიწადში 6 მილიონ ლარს შეადგენს, რაც შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მისი დაფინანსება განათლების პრიორიტეტში, პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებშია გათვალისწინებული.

როგორც პრიორიტეტების დოკუმენტიდან ვკითხულობთ, „მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების

გამოვლენა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება".

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი ბიუჯეტში 6 პროგრამით და 7 ქვეპროგრამით არის განსაზღვრული.

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**5,185.7**	**7,175.3**	**7,739.7**	**6,450.7**	**5,714.0**	**5,947.3**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**2166.22**	**3745.74**	**3341.32**	**2958.7**	**2460**	**2602.3**
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	554.8	1,537.8	882.9	543.7	0.0	0.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1596.96	2112.65	2278.4	2230	2270	2407.3
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	14.5	95.3	180.0	185.0	190.0	195.0
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**2802.65**	**2861.87**	**3064.84**	**2827**	**2837**	**2920**
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2,266.6	2,509.6	2,932.2	2,765.0	2,770.0	2,845.0
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	225.6	187.77	75.66			
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	310.5	164.56	57	62	67	75
05 03	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	**42.6**	**17.4**	**105.0**	**115.0**	**117.0**	**125.0**
05 03 017	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	42.6	17.39	105	115	117	125
05 04	**ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**40.0**	**40.0**	**40.0**	**40.0**	**40.0**	**40.0**
05 05	**ძეგლთა დაცვის ღონისძიებები**	**56.72**	**123.24**	**334**	**250**	**260**	**260**
05 06	**დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა**	**77.5**	**387.0**	**854.6**	**260.0**	**0.0**	**0.0**

ცხრილი #1. წყარო: თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი. თელავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2022-2027 წელი (ათასი ლარი)

რაც შეეხება განათლების პრიორიტეტს, მის აღწერაში ვკითხულობთ, რომ აქცენტი სკოლალდელი განათლების განვითარების სისტემაა, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლზე საუბარი არ არის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, როგორც ქვეპროგრამა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებშია გათვალისწინებული.

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 00	**განათლება**	**7,051.9**	**7,686.3**	**9,571.6**	**8,827.1**	**8,935.0**	**9,080.0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,687.0	7,230.9	8,510.7	8,230.0	8,330.0	8,330.0
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	854.6	13.0	0.0	506.0	410.0	555.0
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	112.7	118.6	137.1	137.1	140.0	140.0
04 03 01	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	112.7	118.6	137.1	137.1	140.0	140.0
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	397.6	323.8	417.8	52.0	55.0	55.0

ცხრილი #2. წყარო: თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი. თელავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2022-2027 წელი (ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის ასიგნებების ანალიზი

თელავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები მთლიანი მუნიციპალიტეტების[36] ასიგნებების საშუალოდ 1.3 პროცენტს შეადგენს, მ.შ. თლავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 70,725.28 ათას ლარს.



დიაგრამა #2. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თელავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2018-2024 წელი (ათასი ლარი)

ასიგნებების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგია:

[36] 69 მუნიციპალიტეტი, მ.შ. 5 თვითმმართველი ქალაქი



დიაგრამა #3. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თელავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024 წელი (ათასი ლარი)

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, განათლებაზე მთლიანი ასიგნებების 21 პროცენტი მოდის, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი კი მთლიანი ასიგნებების 14 პროცენტით ფინანსდება.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ფინანსების გადანაწილებას ე.წ. ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში[37].

		2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 გეგმა
7	მთლიანი ხარჯები	48,409.4	62,484.5	70,089.5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,217.8	6,702.3	8,401.4
702	თავდაცვა	234.5	205.2	0.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	16,028.9	27,338.7	20,406.8
705	გარემოს დაცვა	1,683.0	1,754.6	1,590.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8,884.3	8,231.3	18,367.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	212.0	380.1	270.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5,185.7	7,175.2	7,739.7
709	განათლება	7,051.9	7,686.3	9,571.6
710	სოციალური დაცვა	2,911.5	3,010.9	3,742.8

[37] ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიზნებისათვის ტერმინში „ფინანსები“ გაერთიანებულია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

ცხრილი #3. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თელავის მუნიციპალიტეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2022-2024 წლებში, ათასი ლარი

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის მონაცემების მიხედვით ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებიდან (გარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებისა)[38] „დასვენება, კულტურა და რელიგია“ (რომელშიც ასევე შედის სპორტი და ბიბლიოთეკები) მეხუთე პოზიციას იკავებს.

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**5,185.7**	**7,175.2**	**7,739.7**
7.08.1[39]	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,311.8	4,265.2	4,386.2
7.08.2[40]	მომსახურება კულტურის სფეროში	2,791.2	2,852.6	3,208.6
7.08.3	ტელერადიო-მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	42.6	17.4	105.0

ცხრილი #4. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. თელავის მუნიციპალიტეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2022-2024 წლებში, ათასი ლარი

სპორტის (როგორც მაღალი მიღწევების, ასევე მასობრივი სპორტის), კულტურის, განათლების სფეროების გენდერული მნიშვნელობა არაერთი კვლევით არის დადასტურებული, აღნიშნულ სფეროებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმართული ასიგნებები ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი იქნას აღნიშნულ სფეროებში მუნიციპალურ დონეზე შეთავაზებული სერვისების გენდერული მგრძნობელობა.

---

[38] ვინაიდან აღნიშნული მოიაზრებს „7011 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები“ და „7016 ვალთან დაკავშირებული ოპერაციები“ ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული.

[39] საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული მუხლი მოიცავს: ა) სპორტისა და დასვენების სფეროში საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს. კერძოდ, აღნიშნულსფეროში სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს; ბ) დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები, სარბენი ბილიკები, საცურაო აუზები, დასასვენებელი სკვერები, პარკები და ბანაკები და ა.შ.) მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებს; გ) სპორტული აღჭურვილობით უზრუნველყოფის და მათი გამოყენების რეგულირების ხარჯებს, სპორტული და დასვენების ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ნაგებობებისა და ადგილების (მოედნები, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები, სარბენი ბილიკები, სპორტული დარბაზები, პარკები, პლაჟები და სხვა) ფინანსური მხარდაჭერის და ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე, სპორტული და დასვენების ღონისძიებებთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს; დ) გრანტებსა და სუბსიდიებს სპორტული გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების ფინანსური მხარდაჭერისთვის; ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.
აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებს, აკვარიუმებს და სხვა მსგავს ობიექტებს (7082); სპორტულ და დასვენების ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება სასწავლო დაწესებულებებს (709).

[40] საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული მუხლი მოიცავს: აღნიშნული მუხლი მოიცავს: ა) კულტურის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობისა და მომსახურების ხარჯებს, კერძოდ: კულტურის ობიექტების და მათი სახელმწიფო მართვის ორგანიზაცია-დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს, კულტურული დაწესებულებების ფუქციონირების კონტროლისა და რეგულირების ხარჯებს; ბ) კულტურული დანიშნულების ობიექტების (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, თეატრები, საგამოფენო დარბაზები, ძეგლები, ისტორიული ნაგებობები, ისტორიული ადგილები, ზოოპარკები და ბოტანიკური ბაღები, აკვარიუმები და ა.შ) მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის, ფუნქციონირების, აგრეთვე, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების, ჩატარებისა და მხარდაჭერის ხარჯებს; გ) გრანტებსა და სუბსიდიებს მსახიობების, მწერლების, კომპოზიტორების და კულტურის სხვა წარმომადგენლების, აგრეთვე კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერისთვის; დ) ეროვნული, თუ ადგილობრივი დღესასწაულების ჩატარების ხარჯებს, თუკი ისინი სპეციალურად ტურისტების მოსაზიდად არ ხორციელდება; ე) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ დაზღვევის ხარჯებს.
აღნიშნული მუხლი არ მოიცავს: უცხოეთში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს (70113); ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ ზეიმებს, რომლებიც უმთავრესად გამიზნულია ტურისტების მოსაზიდად (70473); ტელერადიო მაუწყებლობის ხარჯებს (7083).

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშში ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებაში მკაფიოდ მოცემულია ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოებმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებამდე უნდა უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კვლევების ჩატარება და მათ შედეგებზე დაყრდნობით უნდა შეიმუშავონ სხვადასხვა ტიპის სერვისები ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინებით.

სპორტის, კულტურის, განათლების სფეროები, ასევე გენდერულად მგრძნობიარე სერვისების დანერგვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე კვლევების განხორციელება, რიგ სხვა საკითხებთან ერთად გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითად მიმართულებებად არის განსაზღვრული საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დოკუმენტში[41].

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასების[42] კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისკენ მიმართული არაერთი აქტივობის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ქვეყნის გენდერულ პოლიტიკაში რეგიონების განსხვავებული საჭიროებების ასახვა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სისტემატიზებული და საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავება. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში ნაკლებად პრიორიტეტულია გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ მიმართული ღონისძიების გატარება.

კულტურა

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ცოდნის სისტემა, რომელსაც იზიარებს ადამიანთა შედარებით დიდი ჯგუფი.

კულტურებს ქმნიან ადამიანები და ადამიანები ყალიბდებიან კულტურისაგან. ეს არის დინამიური ურთიერთქმედება.

ამ ფართო კონტექსტში, კულტურის პოლიტიკა არის საჯარო პოლიტიკის შემუშავების სფერო, რომელიც მართავს ხელოვნებასა და კულტურასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ასეთი პოლიტიკა განაგებს საკმაოდ მოცულობით სექტორს, რომელიც მთელ რიგ საქმიანობებს აერთიანებს. მასში შედის როგორც ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღდგენა ასევე მუზეუმები და გამოფენები, მათ განხორციელებას შემოქმედებითი

[41] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0
[42] სახალხო დამცველი, 2020 წელი

აქტივობები (მუსიკა, თეატრი და სხვა), გართობა, მედია და ელექტრონული კულტურის პლატფორმები.

გენდერული ასპექტები რელევანტურია კულტურის, როგორც „სოციალური კონსტრუქციის“ ფართო განსაზღვრებასთან, ასევე იმ მიდგომებთან მიმართებაში, რომლითაც ხდება კულტურული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული რამდენიმე მიზეზის გამო არის სიმართლე.

- უპირველეს ყოვლისა, კულტურული უფლებები არის ადამიანის უფლებები და შესაბამისად არის როგორც ქალების, ასევე კაცების უფლებები.

კულტურის ყველა სფეროში ადამიანის უფლებები არის კულტურული მრავალფეროვნების გამდიდრებისა და ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობის წინაპირობა.

მაგალითად, შრომის ბაზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური გენდერული სეგრეგაცია არის გენდერული სტრუქტურული უთანასწორობის მაგალითი საუკუნოვანი გენდერული სტერეოტიპისა და დისკრიმინაციის შედეგად. ადამიანების ცხოვრება კულტურულ კონტექსტშია ჩადებული, რომელიც სტრუქტურირებულია ამ ასიმეტრიული გენდერული როლების შესაბამისად. ცალკეულ ქალებსა და კაცებს შეუძლიათ მიიღონ ან წინააღმდეგობა გაუწიონ ამ სოციალურად შექმნილ როლებს: „კულტურასა და ტრადიციას შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს და იყოს მჩაგვრელი ან განმათავისუფლებელი სხვადასხვა ადამიანებისთვის სხვადასხვა დროს. არაფერია დაურღვეველი და ხელშეუხებელი კულტურაში და შესაბამისად, ღირებული შეფასება უნდა გაკეთდეს იმის შესახებ, თუ კულტურის რომელ ასპექტები უნდა შევინარჩუნოთ და რომელზე უნდა ვთქვათ უარი“.

- მეორე, გენდერი არსებითად არის დაკავშირებული კულტურასთან. ქალებისა და კაცების სოციალურად ჩამოყალიბებული როლები კულტურით არის განსაზღვრული და განსხვავდება დროსა და სივრცეში. გენდერი არის კულტურული და სოციალური კონსტრუქცია, რომელიც განისაზღვრება ქალთა და კაცთა ძალაუფლების ურთიერთობით, ნორმებითა და ღირებულებებით „კაცური“ და „ქალური“ როლებისა და ქცევის შესახებ. ამრიგად, კოლექტიურმა შეხედულებებმა "ტიპიური კაცის" ან "ტიპიური ქალის" როლების შესახებ შეიძლება ხელი შეუწყოს სტერეოტიპების შექმნას, რამაც შეიძლება შეზღუდოს ან მისცეს ქალებსა და კაცებს შესაძლებლობები იმოქმედონ თავიანთი კულტურული კონტექსტის ფარგლებში.

გარდა ამისა, ტრადიციული და სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში გენდერული როლების ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება კონკრეტულად კულტურულ პოლიტიკას, აღნიშნულმა კულტურული შინაარსის გადაცემებით შეიძლება ხელი შეუწყოს გენდერულ უთანასწორობას და დისკრიმინაციას.

მედია კონტენტი ხშირად ხასითდება ქალების სტერეოტიპული პორტრეტით. ეს ასევე შეიძლება განპირობებული იყოს ქალების შეზღუდული ხელმისაწვდომობით მედია პროდუქტების შექმნაზე და მედიასა და კულტურის ინდუსტრიებში გადაწყვეტილებების მიღებაზე.

- მესამე, განსხვავება ქალებსა და კაცებში ასევე შეინიშნება კულტურის სფეროს პროდუქტების მოხმარებასა და კულტურის სფეროს ღონისძიებებში მონაწილეობის მხრივ. კაცები ბევრად მეტ დროს უთმობენ სპორტის ყურებას, ვიდრე ქალები. მეორეს მხრივ, ქალები უფრო ხშირად კითხულობენ წიგნებს, დადიან თეატრებში, სტუმრობენ საჯარო ბიბლიოთეკებს.

კულტურულ ღონისძიებებში არმონაწილეობის მიზეზები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებისა და კაცებისათვის: კაცები უფრო ხშირად ასახელებენ ინტერესის ნაკლებობას, ხოლო ქალები ფინანსებს.

ოჯახური პასუხისმგებლობები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლების ახსნაში, რადგან მათ შეიძლება შეაფერხონ კულტურული ჩართულობა, დროითი თვალსაზრისით შეუთავსებლობის გამო". კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ 4 და მეტ სულიან ოჯახებში, სწორედ მათთვის მიუღებელი დროის ფაქტორის გამო ვერ ერთვებიან კულტურულ ღონისძიებებში, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ.

- მეოთხე, ქალები წარმოადგენენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კურსდამთავრებულთა უდიდეს ნაწილს და, ზოგადად რომ ვთქვათ, ამ დისციპლინების კურსდამთავრებულები საქმდებიან კულტურულ და შემოქმედებით სექტორში. ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება ტენდენცია, რომ ქალებს სულ უფრო მეტად შემოქმედებითი ინდუსტრიები (მაგალითად მოდის დიზაინი) იზიდავთ.

მიუხედავად გენდერული თანასწორობის აქტუალობისა კულტურის სექტორში, არსებობს რამდენიმე გენდერული ღიობი (gap), რომელიც აფერხებს ქალთა თანაბარ მონაწილეობას ამ სფეროში. ეს არის შემდეგი: - გენდერული სტერეოტიპები კულტურის სექტორში; - კულტურის სექტორის შრომის ბაზრის სეგრეგაცია; - ქალების შეზღუდული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

გენდერული სტერეოტიპები კულტურის სექტორში - კულტურული ინდუსტრიის და განსაკუთრებით კი მედია ინდუსტრიის როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო და არის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის. მედია არა მხოლოდ ასახავს, არამედ ქმნის სოციალურ -კულტურულ მოდელებს და ნორმებს და სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ჩამოყალიბების მძლავრი მოთამაშე.

მედია ჩვეულებრივ აგრძელებს საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვას, რომელშიც კაცის როლი დომინირებულია და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტორებმაც კი შეიძლება ხელი შეუწყოს ტრადიციული გენდერული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების განმტკიცებას. ბოლოდროინდელი და მიმდინარე სოციალური ცვლილებები ცხადყოფს, რომ ქალის ტრადიციული როლის მოდელი აღარ არის შესაბამისი და რეალისტური, ვინაიდან დღესდღეობით ქალების მზარდი რაოდენობა თამაშობს წამყვან როლს საზოგადოებაში. ეს განვითარება უფრო ადეკვატურად უნდა იყოს მედიაში ასახული.

ამავე დროს, რეკლამა და მარკეტინგი არა მხოლოდ ასახავს კულტურას, არამედ ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების შექმნას და გამყარებას. მაშინაც კი, თუ რეკლამა ძირითადად

მარკეტინგული იარაღია, რეკლამა გადმოსცემს ღირებულებებს, დამოკიდებულებებს და სტერეოტიპებს, რაც პოტენციურად გავლენას ახდენს ზოგადად ქცევაზე გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამის ქცევებზე და გვთავაზობს მსოფლმხედველობას მსოფლიოში მათი ერთობლივი, კუმულატიური ეფექტების საშუალებით.

კულტურის სექტორი ასევე გადამწყვეტია მოძველებული მავნე სტერეოტიპების მსხვრევისა და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციაში.

კულტურული სექტორის შრომის ბაზრის სეგრეგაცია - მიუხედავად კულტურის სფეროში განათლებულ და დატრენინგებულ ქალთა დიდი რაოდენობისა, ქალები უფრო ხშირად დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი. აღნიშნულს ძირითადად ე.წ. შუშის ჭერი განაპირობებს.

ხელმისაწვდომი კულტურის სივრცეების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია სხვადასხვა სერვისის მიწოდებაზე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მის ფარგლებში ცხოვრობენ, მუშაობენ ან სამოგზაუროდ ჩამოდიან. აღნიშნულ პასუხისმგებლობაში შედის პროგრამების, პოლიტიკისა და რეგულაციების განხორციელება, რაც, საბოლოო ჯამში, თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე აისახება.

ამგვარად, ადგილობრივი ხელისუფლების როლი ყველასთვის ხელმისაწვდომი, კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული გარემოს შეთავაზებაში ძალიან მნიშვნელოვანია. უსაფრთხო და განვითარებისაკენ მიმართულ სივრცეებს მიეკუთვნება მუზეუმები და კულტურული სივრცეები. წვდომა კულტურაზე - უნივერსალური უფლებაა და უნდა განიხილებოდეს ინკლუზიურობის პერსპექტივიდან, ნებისმიერი სახის ბარიერისა და შეზღუდვის გარეშე.

გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების გრძელვადიანი აღმოფხვრის მიზნით, მუზეუმები და სხვა კულტურული სივრცეები უნდა გასცდნენ თემატურ საგანმანათლებლო აქტივობებსა და გამოფენებს. მუზეუმები უნდა წარმოადგენდნენ იმგვარ სივრცეს, რომელიც მუდმივად, ყოველდღიური ძალისხმევით ამცირებს გენდერულ უთანასწორობას, აერთიანებს დაინტერესებულ პირებს და ადვოკატირებას უწევს გენდერულად ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას.

კულტურულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ყველას, გოგოსა და ბიჭს, ქალს და კაცს, როგორც ხელოვანს, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა წარადგინოს და გამოფინოს საკუთარი ნამუშევრები კულტურულ სივრცეებში. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც გასულ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა და რომელმაც მოიცვა 350 ათასი ნამუშევრის ანალიზი, ქალებისა და შავკანიანი ადამიანების მიერ შესრულებული ნამუშევრების რიცხვი ძალიან დაბალია. ხელოვანების გარდა, მნიშვნელოვანია თანასწორი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა კულტურული სივრცეების დირექციებსა და საბჭოებში.

საინტერესო პრაქტიკას წარმოადგენს კულტურული ფესტივალების ორგანიზება, რომლებიც მიმართულია გოგნებისა და ქალების მხარდაჭერისა და გაძლიერებისაკენ. კავშირების დამყარებისა და

კომუნიკაციის გარდა, ასეთი ფესტივალების ფარგლებში შესაძლებელია ბაზრობების მოწყობა და საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, დებატებისა და განხილვების ორგანიზება, ფემინისტური კუთხეების მოწყობა და სხვა.

კულტურის სფეროში მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობის საკითხის განხილვა.

ბიბლიოთეკას აქვს უმნიშვნელოვანესი როლი აკადემიური მოსწრებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს წახალისების საქმეში. ბიბლიოთეკა ყველა მსურველს, განურჩევლად მისი უნარების, შესაძლებლობების და ნებისმიერი სხვა მახასიათებლის, უნდა სთავაზობდეს ინფორმაციას და წვდომას მისთვის საჭირო რესურსებზე. ბიბლიოთეკას შეუძლია მიმართოს მთელ რიგ ინსტრუმენტებსა და სტრატეგიებს, რომ გააქარწყლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ბარიერები და წაახალისოს ისეთი გარემო, რომელშიც ყველა შეძლებს ისწავლოს და განვითარდეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატების გასაღები ამ მიზნის მიღწევაში მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი საინფორმაციო რესურსების უზრუნველყოფაშია. გარდა აღნიშნულისა, წამყვან საკითხს წარმოადგენს ხელმისაწვდომობის ზრდა სპეციალიზებული სერვისების მიწოდების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის უხარვეზო და უნაკლო სერვისების მიწოდებას. ამგვარად, ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ინფორმაციის მიწოდება არსებულ საჭიროებებს პასუხობს და სერვისის შეთავაზება სხვადასხვა ფორმატით არის შესაძლებელი.

დღევანდელ ციფრულ სამყაროში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ონლაინ მონაცემთა ბაზებსა და ელექტრონულ რესურსებს. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია იმ მოსწავლეთა/სტუდენტთა საჭიროებების უზრუნველყოფა, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ბეჭდურ პროდუქციასა და მასალებზე. ბიბლიოთეკას შეუძლია წაშალოს სოციო-ეკონომიკური და გეოგრაფიული განსხვავებები, რომლებიც ამა თუ იმ მოსწავლესა და სტუდენტს უქმნიან ბარიერებს აკადემიური მიზნების მიღწევაში. საინფორმაციო რესურსებზე უფასო და ღია წვდომის უზრუნველყოფით დაცულია "არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა" პრინციპი. სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს შორის შესაძლოა იყოს:

- რესურსების სხვადასხვა ფორმატის შეთავაზება - აუდიო-მასალა, ელექტრონული მასალა, ციფრული მონაცემთა ბაზები, მულტიმედიური რესურსები და სხვა;
- ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება;
- ხელმისაწვდომი ფიზიკური სივრცეების არსებობა მათთვის, ვისაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ;
- მრავალი სხვა.

ციფრული წიგნიერება ესტონეთის ბიბლიოთეკებში[43]

[43] წყარო: From books to bytes: libraries and digital literacy in Estonia - https://www.educationestonia.org/the-role-of-libraries-in-enhancing-digital-literacy-in-estonia/

ესტონეთში, ციფრულ სახელმწიფოში, სადაც საჯარო სერვისების 99%-ის მიღება ონლაინ არის შესაძლებელი, ადამიანები იყენებენ ელექტრონულ პირადობის მოწმობას, ელექტრონულად აწერენ ხელს ხელშეკრულებებს, ელექტრონულად აძლევენ ხმას არჩევნებზე. ყოველივე აღნიშნული დიდი ხნის ნორმად არის ქცეული.

სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუცია წლების განმავლობაში ამატებდა ახალ ციფრულ სერვისებს და კურსებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს 2018 წელს დაწყებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა 6000-მდე პირისთვის ციფრული წიგნიერების გაუმჯობესებას. პროექტის ბიუჯეტი ნახევარ მილიონ ევროზე მეტს შეადგენდა.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს წამყვან დაინტერესებულ მხარეს, რომელიც, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტრენინგების მეშვეობით, ახორციელებს ნებისმიერი მსურველისთვის მისი ციფრული უნარების განვითარებასა და გაძლიერებას. უახლესი სტატისტიკის მიხედვით, ესტონეთის დაახლოებით 2000-მდე ბიბლიოთეკარი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მკითხველების კონსულტირებასა და დატრენინგებას. ამგვარად, ბიბლიოთეკების როლი ადამიანების მიერ ელექტრონული სერვისების გამოყენების სწავლებისა და პოპულარიზების მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ცნობილია, ტექნოლოგიური ცვლილებები ბევრად სწრაფად ვითარდება, ვიდრე საჯარო სექტორი, ამგვარად, საჭირო ხდება მუდმივი ტრენინგების ჩატარება. იმისათვის, რომ მოხდეს არსებული სივრცეების მეტად ეფექტური გამოყენება ციფრული წიგნიერების ამაღლების მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ხდება სახსრების გამოყოფა და მჭიდრო თანამშრომლობა ბიბლიოთეკებთან. ამის მიზანი ისაა, რომ ესტონეთის ყველა ბიბლიოთეკაში შესაძლებელი იყოს ხარისხიანი და თანამედროვე კურსების გავლა ციფრული სერვისების თემაზე. აღნიშნული დიდ მნიშვნელობას იძენს იმ პირებისთვის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეიძინოს ეს უნარები, ვინც უმუშევარია, ვისაც არ აქვს წვდომა კომპიუტერზე, ინტერნეტზე და ა.შ.

ბიბლიოთეკას შეუძლია საკუთარი სერვისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფოკუსად გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა გახადოს. მაგალითად, ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენებით, გოგოებსა და ქალებს ეძლევათ შესაძლებლობა გააძლიერონ და მეტად ეფექტური გახადონ წვდომა სოციალურ სერვისებზე. ამგვარად, ბიბლიოთეკის მხარდაჭერა გოგოებისა და ქალების მიმართ, რომლებიც შესაძლოა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას განიცდიდნენ, მეტად მნიშვნელოვანია. გარდა საინფორმაციო რესურსების შეთავაზებისა, ბიბლიოთეკას შეუძლია მათი სოციალური ინკლუზიურობის მხარდაჭერა და გოგოებისა და ქალების სოციალურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება.

ბიბლიოთეკას შეუძლია გააძლიეროს გოგოებისა და ქალების ტექნიკური და ციფრული უნარები, უწყვეტი სწავლებისა და ტრენინგების მეშვეობით. გარდა ამისა, ინტერნეტისა და wi-fi სერვისების მიწოდებით, იზრდება წვდომა საინფორმაციო რესურსებზე მათთვის, ვინც არ სწავლობს, უმუშევარია ან/და სახლის პირობებში არ აქვს წვდომა ინტერნეტზე. განსაკუთრებით მნიშვნელობას აღნიშნული მუნიციპალურ დონეზე იძენს, სადაც ინტერნეტით დაფარვის მაჩვენებელი მეტად დაბალია.

ციფრული წიგნიერება, კარიერული განვითარება და წვდომა ინტერნეტზე სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება. მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმეტესობა ამ სერვისებით უხარვეზოდ სარგებლობს, კონკრეტული ჯგუფები, მაგალითად, ქალბატონები, უკან რჩებიან. იმისათვის, რომ

ჩამორჩენის მაჩვენებელი შემცირდეს, მსოფლიოს მასშტაბით ბევრი ორგანიზაცია მიმართავს გამორჩეულ, ინოვაციურ მეთოდებს. აღნიშნულის მთავარი მიზანია სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქალების გაძლიერება.

ზოგიერთ ქვეყანაში, ჩვენს რეალობაში კი უმეტესწილად ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ დასახლებებში, მამაკაცები დღესაც აკონტროლებენ ქალების განათლების დონეს, მათ ფინანსებსა და გადაადგილებას. ასეთ საზოგადოებებში ხშირია ქალების მიმართ წაყენებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით სახლიდან გასვლის დროს ქალმა ნებართვა უნდა აიღოს, ასევე მას თანხმლები პირი - კაცი უნდა ახლდეს. ბევრი ქალბატონი ვერ აცნობიერებს, რომ აღნიშნული - მათი უფლებების ხელყოფაა. თუმცა, მსგავსი ბარიერების მოსახსნელად არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც, ადგილობრივ ბიბლიოთეკებში განხორციელებული პროექტების მეშვეობით, ქალების გაძლიერებას ცდილობენ.

საკითხავი ცენტრების შექმნა - ერთ-ერთი სერვისის მაგალითია, რომლითაც ამ ქალებმა შეიძლება ისარგებლონ. უფასო საგანმანათლებლო და საფინანსო პროგრამებში ჩართულობის გარდა, ასეთი ცენტრები ქალებს სთავაზობენ უსაფრთხო სივრცეებს, სადაც მათ შეუძლიათ თანამოაზრეებს შეხვდნენ და იდეები გაცვალონ.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ქალის მიერ საკუთარი შემოსავლის მიღება დადებით გავლენას ახდენს მათ ავტონომიურობაზე. ტრენინგები და კურსები, რომელთა გავლა მსგავს ცენტრებშია შესაძლებელი, შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ საქმიანობას, როგორიცაა მეფუტკრეობა, ხელსაქმე, ან მიწათმოქმედება. ასეთ პროგრამებში მონაწილეობის შედეგებს შორისაა არა მარტო შემოსავლის გაზრდა, არამედ საკვების ყიდვის მეტი შესაძლებლობა, უფრო გამარტივებული წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, შვილების სკოლაში გაშვების შესაძლებლობა და მრავალი სხვა.

უგანდაში, ქალების 83% ჩართულია სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო ქვეყანაში წარმოებული 70-75% საქონლის მწარმოებლები სწორედ რომ ქალები არიან. როგორც აღმოჩნდა, ამ ქალების უმეტესობას არ ჰქონდა წვდომა თანამედროვე რესურსებზე, რაც მიწათმოქმედების საკითხებს უკავშირდება. უგანდის ერთ-ერთმა ბიბლიოთეკამ დაინახა ეს საჭიროება და ქალების გაძლიერება - ერთ-ერთ საკუთარ პრიორიტეტად დასახა. ვინაიდან ინფორმაცია მიწათმოქმედების თანამედროვე მეთოდების, მცენარეებისა და ცხოველთა დაავადებების, საბაზრო ფასებისა ცოდნის შესახებ ძალიან შეზღუდული იყო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სერვისის ჩაშვების შესახებ. სერვისმა ბევრი აქტივობა მოიცვა, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციის კურსი, კომპიუტერული და ინფორმაციის ძებნის უნარების გაძლიერება, საგანმანათლებლო შეტყობინებების დაგზავნა ფერმერებისთვის სმს-ის სახით, სხვადასხვა ენაზე. შესაძლებელი გახდა კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების შესყიდვა ტრენინგების მონაწილეთათვის. პირველად განხორციელდა ქალი-ტრენერების გადამზდება ციფრული წიგნიერების თემაზე.

ქალების გაძლიერება ადგილობრივი ბიბლიოთეკების და მათი ინოვაციური პროგრამების მეშვეობით გლობალური ტრენდი გახდა. ბიბლიოთეკას შეუძლია მრავალი მიზნის მიღწევა გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით.

მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო დონეზე

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო და უფრო აღიარებულია კულტურის როლი მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში[44], მდგრადი განვითარება კი, თავის მხრივ, ვერ მიიღწევა გენდერული თანასწორობის გარეშე.

კულტურაზე ხელმისაწვდომობა და კულტურის სფეროში მონაწილეობა ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც თანაბრად უნდა იყოს ყველასთვის გარანტირებული. გარდა ამისა, კულტურა და კულტურული მრავალფეროვნება საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა, ვინაიდან მას რეალური გარდამტეხი ძალა გააჩნია და შეუძლია, ხელი შეუწყოს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს საზოგადოებაში, მათ შორის, დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოფხვრის და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განმტკიცების კუთხით.

კულტურის სფეროს განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს **იუნესკოს 2005 წლის კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და დაცვის შესახებ[45],** რომელსაც საქართველო 2008 წელს შეუერთდა. კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს: (i) კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებაში; (ii) კულტურის მნიშვნელობას საზოგადოებაში ქალთა როლის ამაღლებისთვის' (iii) ასევე, აუცილებლად მიიჩნევს კულტურის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ელემენტის ინტეგრაციას განვითარების ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკაში. კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს „თავიანთ ტერიტორიაზე შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს[46].“

იუნესკოს 2013 წლის ჰანჯოუს დეკლარაცია – კულტურა მდგრადი განვითარების პოლიტიკის ეპიცენტრში[47], ხაზს უსვამს კულტურის როლს მშვიდობისა და შერიგების, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და ურბანული განვითარების საკითხებში და ასევე აღნიშნავს, რომ კულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური სოციალური განვითარებისთვის, გენდერული უთანასწორობისა და გენდერული დისკრიმინაციის დაძლევისთვის.

გაეროს გენერალური ასამბლეის 2013 წლის რეზოლუცია 68/223[48] მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ: ქალებისა და კაცებისთვის კულტურის თანაბარი ხელმისაწვდომობა; ასევე, კულტურის სფეროში, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების დონეზე, თანაბარი ჩართულობა;

44გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის (რიო +20) დოკუმენტი, პუნქტი 41. https://sustainabledevelopment.un.org/ index.php?menu=1298

45კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ, 2008: https://matsne. gov.ge/ka/document/view/1205118?publication=0

46კონვენციის მე-7 მუხლი

47 UNESCO, The Hangzhou Declaration Placing Culture at the Heart of Sustainable Development Policies, 2013: http://www.unesco.org/ new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/images/FinalHangzhouDeclaration20130517.pdf

48 რეზოლუციის 11 (c) პუნქტი https://digitallibrary.un.org/record/765783

კულტურის პოლიტიკაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება; ასევე, კულტურის მეშვეობით გენდერული თანასწორობის განმტკიცება და გოგონათა და ქალთა გაძლიერება.

იუნესკოს შეფასებებითა და დაკვირვებით[49], კულტურის სფეროში არაერთი გენდერული გამოწვევა არსებობს, მათ შორის: გენდერული დისბალანსი გადაწყვეტილების მიღების დონეზე; ქალთა ხელმისაწვდომობის პრობლემა დაფინანსების მექანიზმებზე; ხელოვანი ქალების მარგინალიზაციის საკითხი; კულტურის ინდუსტრიაში ქალთა თანასწორი ჩართულობა და მათი ეკონომიკური გაძლიერება.

ადგილობრივ დონეზე

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად[50], სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ მშობლიურიენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“[51] თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს, ასევე უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“[52] თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებად განსაზღვრულია: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“[53] ადგენს, რომ საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანებია: - მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი

49 Gender equality, Heritage and Creativity", UNESCO, 2014; Measuring the Economic Contributions and Cultural Industries", UNESCO, 2012.

50 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

51 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: https://matsne.gov.ge/ka/ document/view/91624?publication=9#!

52 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72

53 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33046?publication=7

განვითარებისათვის; - შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის მომსახურება როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით; - ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკებით ან მასობრივ ბიბლიოთეკებში სპეციალური საბავშვო განყოფილებებისა და ფონდების შექნის გზით. სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი; - მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება. ამავე კანონის თანახმად, „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად“.

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის[54] თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კულტურის განვითარებას და კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას. კანონი განსაზღვრავს ყოველი ადამიანის უფლებას ნებისმიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, კულტურული ფასეულობებით სარგებლობისა, სახელოვნებო განათლებისა. ასევე, კანონი სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციებს შორის ასახელებს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას კულტურის სფეროში. ამავე დროს კანონი კულტურის სფეროს პრიორიტეტულობის, მისი უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ავალებს სახელმწიფოს, ხელისუფლების უმაღლეს და მუნიციპალიტეტის ორგანოებს გაუწიონ მაქსიმალური ფინანსური და სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური დახმარება კულტურის ყველა დარგს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით[55] დამტკიცებული **კულტურის სტრატეგია 2025**-ის მიზნებს შორის აღსანიშნავია შემდეგი რამდენიმე მიზანი“ - კულტურა ყველასთვის ხელმისაწვდომია საქართველოში, რეგიონების, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩათვლით; - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სხვა უწყებებს, დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულარული კონსულტაციების საფუძველზე კულტურა ინტეგრირებულია სხვადასხვა დარგის, სამთავრობო უწყებების, მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკაში;” - კულტურა ფინანსდება ყველა დონის ბიუჯეტიდან, სხვადასხვა წყაროდან - დანერგილია დაფინანსებისა და წახალისების ინოვაციური მექანიზმები, გაზრდილია კერძო სექტორის მოტივაცია კულტურის დასაფინანსებლად; თანხები ნაწილდება გამჭვირვალედ და ეფექტურად; - როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე საქართველოს კულტურის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება შეესაბამება „კარგი მმართველობის“ პრინციპებს.

54 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, 1997: https://www.matsne.gov.ge/ka/document/ view/31402?publication=13

55 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3328805?publication=0

ამავე დოკუმენტში, განსაზღვრულ სპეციფიკურ ამოცანებს შორის აღსანიშნავია მუზეუმების მიმართულება. აღნიშნულის ფარგლებში განსაზღვრულია: - მუზეუმების განვითარების მიზნით პროფესიული ცოდნისა და სამუზეუმო პრაქტიკის გაზიარება ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობით და მუზეუმების კადრების გადამზადების პროგრამების შემუშავება (აუდიტორიის განვითარება, უცხოური ენა, პარტნიორებისა და ფონდების მოძიება, სპეციალურ საჭიროებათა მქონე ჯგუფებთან ურთიერთობა, სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი და სხვ.); - მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით ახალი ინიციატივების დანერგვა (მაგ.: ღამე მუზეუმში, ღია კარის დღე, მუზეუმი სკოლაში და სხვ.); - საქართველოს ერთიანი სამუზეუმო ფონდის დაცვის და შევსების მხარდაჭერა კულტურული ფასეულობების, მათ შორის, ექსპონატების, არტეფაქტების, გადარჩენისა და ქვეყნიდან გადინების თავიდან აცილების მიზნით; - მუზეუმების წახალისება ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური მეთოდების, ინტერაქტიული ელექტრონული მომსახურების, მრავალფეროვანი პროგრამული აპლიკაციების განვითარებასა და გამოყენებაში, სხვა მუზეუმებთან, კულტურის სექტორის ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გზით; - სამუზეუმო კოლექციების გაციფრულების და შესაბამისი ინტერნეტპლატფორმების საშუალებით ვირტუალური მუზეუმების შექმნა და განვითარება, კვლევის წახალისების, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის, ვიზიტორთა მოზიდვის და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით; - მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის, საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულების განვითარების მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის პროგრამების, მათ შორის, საბავშვო თუ მოზარდთა პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით; - თემატური მუზეუმების დაარსებისა და განვითარების ხელშეწყობა; - მუზეუმების მხარდაჭერა მაღალი დონის სარესტავრაციო ცენტრების შექმნასა და განვითარებაში.

კულტურის სტრატეგია 2025-ის დოკუმენტით განსაზღვრულ სპეციფიკურ ამოცანებს შორის ასევე აღსანიშნავია ბიბლიოთეკებისა და არქივების მიმართულება. აღნიშნული ფარგლებში განსაზღვრულია: - საბიბლიოთეკო სფეროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების გაუმჯობესება, ბიბლიოთეკარის სტანდარტებისა და სერტიფიცირების წესების შემუშავება, შესაბამის მხარეებს შორის კოორდინაციის გაღრმავება და პასუხისმგებლობების გადანაწილება; - ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების (მაგ.: მობილური ბიბლიოთეკები) დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა; - ბიბლიოთეკების ხელშეწყობა კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულების, ინტერნეტბიბლიოთეკების განვითარების პროცესში, რაც გაზრდის სხვადასხვა მასალაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების ონლაინსასწავლო ცენტრებად ჩამოყალიბებას; - თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიოთეკების მრავალფუნქციურ დაწესებულებად ჩამოყალიბება სხვადასხვა პარტნიორ სტრუქტურებთან (მაგ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სერვისების განვითარების სააგენტო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტები, საბიბლიოთეკო ასოციაცია და სხვ.) თანამშრომლობის გზით, რაც, ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს

სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობას, სოციალიზაციას, საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას და სხვ.; - ბიბლიოთეკების მხარდაჭერა კითხვის ჩვევის განვითარებისა და კითხვის პოპულარიზაციის პროგრამების შემუშავებაში, საზოგადოების განათლების ხელშეწყობის მიზნით; - სხვადასხვა სახის ეროვნული ლიტერატურისა და მასალის (ხელნაწერები, მუსიკალური ჩანაწერები და ნოტები და სხვ.) ერთიანი საცავების შექმნა და მასზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; - არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით; - არქივებსა და სახელმწიფო, საგანმანათლებლო, კვლევით თუ სხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, არქივებში დაცული კულტურული ფასეულობების, მასალების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი გამოყენების წახალისების მიზნით.

აღსანიშნავია ასევე საქართველოსა და მეორეს მხრივ, **ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტი**[56] მე-17 თავი ეთმობა კულტურის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს. კერძოდ: 362-ე მუხლის თანახმად, „მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციით განმტკიცებული პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების გზით. საერთო ინტერესების სფეროებში, მხარეები წარმართავენ მუდმივ დიალოგს დარგობრივ პოლიტიკაში, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით. მხარეთა შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ევროკავშირისა და საქართველოს კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით.

მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო

მუნიციპალურ დონეზე კულტურის სფეროში პოლიტიკას ანხორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. სამსახურის შემადგენლობაში შედის ორი განყოფილება: - კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება; - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

დებულების თანახმად, სამსახური უფლებამოსილია: - კოორდინაცია გაუწიოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის, სპორტისა და აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას; - კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპერქტიული გეგმების შემუშავება; - მოსახლეობის სპორტულ გამაჯანსაღებელი პროგამების შემუშავება, დანერგვა და შესრულება; მუნიციპალიტეტის მასობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმების შემუშავება; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენა და აღწერა; - მასობრივი

[56] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიძება ახალგაზრდობის ჩართულობით; - საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია და ხელშეწყობა; - ურთიერთობის დამყარება სხვა ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

არსებული გარემოს მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით:

თელავის მუნიციპალიტეტში 10 კულტურის სახლის შენობაა, სადაც განთავსებულია 12 დარბაზი, რაც ჯამში იტევს 3790 მაყურებელს. ქალაქ თელავში 1 ადმინისტრაციული შენობაა, სადაც მოწყობილია საგამოფენო სივრცე, რომელიც გათვალისწინებულია 40 მაყურებელზე. ქალაქ თელავში ერთი ღია ტიპის ამფითეატრია.

ქალაქ თელავში ფუნქციონირებს ერთი სამხატვრო სკოლა, რომლის შენობა წარმოადგენს XIX საუკუნის II ნახევრის ისტორიულ ძეგლს. სკოლაში ისწავლება 5 საგანი: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია და ანიმაცია. ყოველწლიურად 100 მდე ბავშვს უწევს სერვისს.

მუნიციპალიტეტში არის 27 ბიბლიოთეკა, აქედან 22 სოფლებში. ყველა ბიბლიოთეკა საჯაროა და ერთი ა(ა)იპ-ის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. 2023-2024 წლების მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ბიბლიოთეკით სარგებლობს 9363 მკითხველი, მ.შ. 6655 ქალი და 2708 კაცი.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაშია 5 სამუსიკო სკოლა. მათ შორის 2 ქალაქ თელავში: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის N1 სამუსიკო სკოლა და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის N2 სამუსიკო სკოლა. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში: აკურა, წინანდალი და რუისპირი ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლები.

ქ. თელავში ფუნქციონირებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტროს სსიპ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი.

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მონაწილეობას იღებს კულტურულ ღონისძიებებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები

კულტურის სფეროს განვითარებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 3 ქვეპროგრამაა გათვალისწინებული. (დეტალურად იხილეთ დანართი #6).

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**2802.65**	**2861.87**	**3064.84**	**2827**	**2837**	**2920**

05 02 01[57]	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2,266.6	2,509.6	2,932.2	2,765.0	2,770.0	2,845.0
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	225.6	187.77	75.66			
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	310.5	164.56	57	62	67	75

ცხრილი #5.

სახელოვნებო სფეროს განვითარების პროგრამით მოსარგებლე პირების რაოდენობა 601 შეადგენს, მათ შორის გოგო 427-ია, ბიჭი -174.

როგორც პროგრამის აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, "კულტურის ღონისძიებები და კულტურის ორგანიზაციების სერვისები იგეგმება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, რათა პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს".

თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

სამიზნე ჯგუფის მოსმენებისას, ასევე, შესაბამის უწყებათა და ორგანიზაციათა მონაცემების საფუძველზე, კულტურის სფეროში ქალთა წარმომადგენლობისა და ჩართულობის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი მიგნებები და გამოწვევები:

- **კულტურული ცენტრების ნაკლები ხელმისაწვდომობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, კულტურული ცენტრები უფრო მეტად არის ხელმისაწვდომი ქალაქ თელავში მცხოვრები ოჯახებისთვის, ვიდრე სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის. ასევე, ნაკლებად ხელმისაწვდომია კულტურული ცენტრები ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი ყარაჯლისთვის.

„სერვისების ხელმისაწვდომობის არათანაბარი პირობებია ქალაქად და სოფლად, გაგვიმართლა რომ ქალაქში ვცხოვრობთ"

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

ნაკლებ ხელმისაწვდომობას იწვევს ასევე ტრანსპორტი, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში თავად ქალაქში მცხოვრები ოჯახებსაც ტრანსპორტის მოუქნელი გრაფიკის, პირადი სატრანსპორტო საშუალებით უწევთ გადაადგილება.

„სერვისების მიღების მთავარი ბარიერი მუნიციპალური ტრანსპორტია"

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

[57]მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული დანართის მიხედვით, კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა 10 ღონისძიებად არის ჩაშლილი. იხილეთ დანართი #5

„იყო შემთხვევა სოფელ ყარაჯლიდან, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, +ნიჭიერი ახალგაზრდა გოგონა ვერ ახერხებდა სამხატვრო სკოლაში სიარულს, რადგან მის ასაკობრივ ჯგუფში გაკვეთილი გვიან ტარდებოდა და ამ დროს მხოლოდ კერძო ტრანსპორტით თუ შესძლებდა გადაადგილებას, რისი საშუალებაც არ ჰქონდა ოჯახს. სხვადასხვა გენდერული ბარიერების გათვაისწინებით, ის ვერც ტაქსით სარგებლობდა. საჯარო ტრანსპორტიც არ იყო გვიან ხელმისაწვდომი და რომც ყოფილიყო, ალბათ, მაინც არ გაუშვებდა ოჯახი. დღესაც მგონია, დიდი ტალანტი იკარგება ამ გოგოს სახით ჩვენს საზოგაოდებაში და გამოსავალს ვერ ვფიქრობ ვერც მე. "

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„ჩემი შვილი გოგოა, ცეკვაზე დამყავს, რადგან სახლთან ყველაზე ახლოს მხოლოდ ეს სერვისია, სხვა არჩევანი არ გვქონია"

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

გამოიკვეთა ასევე ასაკობრივი შეზღუდვა, როგორც ბარიერი, ვინაიდან სამიზნე ჯუფის მონაწილეთა მოსაზრებით, მუნიციპალური სერვისები სპორტის, არაფორმალური განათლების და კულტურის მიმართლებით უმეტესად სასკოლო ასაკის, იშვითად სტუდენტებისთვის, არის ხელმისაწვდომი და 30+ კატეგორია ამ სერვისების მიღმაა დარჩენილი.

„კარგი იქნება გაიზარდოს სერვისის მიმღებთა ასაკი და ზრდასრულთათვისაც იყოს სერვისებით სარგებლობა ხელმისაწვდომი"

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

სერვისის საფასურის ოდენობა ასევე დასახელდა ცალკეულ შემთხვევებში ბარიერად, მ.შ. ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა ჯგუფებისათვის მოქნილი პაკეტების არსებობაზე.

- **სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, მოსახლეობაში არ არის საკმარისი ინფორმაცია სერვისების შესახებ, ნაკლებია მათი ინფორმირებულობის დონე, ინტერნეტ სივრცესა და სოციალურ ქსელში ნაკლებად არის ხელმისაწვდომი დეტალური ინფორმაცია სერვისების შესახებ.

- **კულტურული ცენტრების მოძველებული ინფრასტრუქტურა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, კულტურის ცენტრები სერვისებს აწვდიან ცალკელ შემთხვევაში მოძველებული ინფრასტრუქტურით, რაც საჭიროებს განახლებას და შესაბამის რეაბილიტაციას.

„არაკომფორტული გარემო პირობები, კარგი იქნება თუ მოხდება სამხატვრო სკოლის რეაბილიტაცია და ბავშვებს ექნებათ შესაბამისი პირობები"

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

შენობა მოძველებულია, ვერ აკმაყოფილებს შშმ პირების საჭიროებას, ვინაიდან არ აქვს პანდუსი, ეს კი ხელს უშლის სპეციალური საჭროების მქონე მოსწავლეებს ისარგებლონ ჩვენი სერვისებით“

(სამუსიკო სფეროში შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„სასურველია სკოლას დაემატოს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირებისათვის კომპორტული და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას“

(სამხატვრო სფეროში შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„სოფლის ბიბლიოთეკებს არ აქვს პანდუსები, რაც არის შშმპ ბენეფიციარებისთვის წვდომის ძირითადი ბარიერი“

(საბიბლიოთეკო სფეროში შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება - სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, გარდა ინფრასტრუქტურისა, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლების მიზნით საჭიროა პედაგოგების გადამზადება, შესაბამისი სასწავლო მასალის მომზადება.

„სკოლის მასწავლებლებს აქვთ მზაობა ასწავლონ შშმპ პირებს, მაგრამ ამისთვის ესაჭიროებათ სპეციალური გადამზადება“

(სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

- **კულტურული ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისების მრავალფეროვნების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, კვლევების საფუძველზე უნდა გამოვლინდეს მოსახლეობისათვის სასურველი სერვისების სახეობები და მოხდეს მათი შეთავაზება.

„კიდევ უფრო მეტი კულტურული ღონისძიებების შეთავაზება შეიძლება მოსახლეობისთვის, როგორც ქალაქად, ასევე განსაკუთრებით სოფლად“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„უკეთესი სერვისების შემოთავაზებაც შეიძლება, ამის პოტენციალი და ფინანსები აქვს მუნიციპალიტეტს“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„ბიჭების მოზიდვის მიზნით კარგი იქნებოდა სკოლაში სასულე განყოფილების (ფლეიტა, კლარნეტი, საყვირი) დამატება და ასევე შესაბამისი პედაგოგის მოძიება“

(სამუსიკო სფეროში შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

- **კვლევების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, ძირითადად არ ტარდება შესაბამისი კვლევები როგორც სერვისების დაგეგმვის, ასევე სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მიმართულებით. ნაკლებია შეხვედრები პედაგოგებთან, შეხვედრების ინიციატორები ძირითადად მშობლები არიან.

„კვლევები არ ტარდება, სერვისების მიწოდება ხდება მოსახლეობის მხრიდან მომართვების საფუძველზე“

(სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„სერვისების მიწოდების შესაბამისი პროგრამების კვლევა არ ჩატარებულა, ვხელმძღვანელობთ კულტურის სამინისტროდან მიღებული პროგრამებით“

(სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„ჩვენი ა(ა)იპ-ის სერვისებით მოსარგებლეების კმაყოფილების მაჩვენებელი არ გვაქვს, ვინაიდან შესაბამისი კვლევა არ ჩატარებულა“

(სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

- **გენდერულ თანასწორობასა და მეინსტრიმინგთან დაკავშირებული მასალების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, ბიბლიოთეკების სერვისებში არ არის ინტეგრირებული გენდერული თემატიკა.

„ ბიბლიოთეკებში არ არის ლიტერატურა გენდერული თანასწორობის შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით არ ტარდება ღია შეხვედრები“

(საბიბლიოთეკო სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

- **ღია, ყველასათვის ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი შეხვედრების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, მცირეა შეხვედრების რაოდენობა მწერლებთან, პუბლიცისტებთან, ფსიქოლოგებთან, ასევე წიგნების ავტორებთან.

- **კითხვის პოპულარიზაცია**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, სოფლის ბიბლიოთეკებს ესაჭიროებათ რებრენდინგი, ასევე მნიშვნელოვანია გატარდეს შესაბამისი ზომები მიზიდულობის და საბიბლიოთეკო სერვისებით მომხმარებელთა ზრდის მიმართულებით.

თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების თანაბარი ხელმისაწვდომობის მხრივ გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდაცია 1:**

კულტურის სფეროს გენდერული მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის, საერთაშორისო და ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი ჩარჩოს, მოკვლევების მიგნებების გათვალისწინების, სამოქალაქო სექტორის და სერვისის როგორც მიმწოდებელთა ასევე მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის საფუძველზე დაინერგოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა და შესაბამისად შემუშავდეს მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მ.შ. გათვალისწინებულ იქნას საბიბლიოთეკო საქმიანობა;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - 2024 წელი

- **რეკომენდაცია 2:**

მერიის სამსახურებს შორის მჭიდრო კოორდინაციით სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას კულტურული ცენტრების სერვისების, საბიბლიოთეკო სერვისების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მცხოვრები პირებისათვის;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 3:**

შემუშავდეს კულტურული ცენტრების, ბიბლიოთეკების, რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლების გეგმა, რომელიც თანამედროვე სტრანდარტებთან შესაბამისობასთან ერთად მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 4:**

სხვადასხვა სახის შეხვედრების, ტრენინგების გზით ამაღლდეს კულტურის სფეროში ჩართული პირების, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირებულობა კულტურის სფეროს გენდერული მნიშვნელობის შესახებ. სხვადასხვა სახის შეხვედრების, ტრენინგების გზით ამაღლდეს ასევე ერთის მხრივ თავად ა(ა)იპ თელავის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ცნობიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ხოლო მეორეს მხრივ თავად ბიბლიოთეკების მიერ მოხდეს მოქალაქეების მაქსიმალური ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხებზე როგორც შეხვედრების, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მიწოდების თვალსაზრისით;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 5:**

კულტურის სფეროს პრიორიტეტს ჰქონდეს ერთი გენდერული მიზანი, შესაბამისად მოხდეს პრიორიტეტის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა გენდერული ბიუჯეტირების ჭრილში, მოქალაქეების აქტიური ჩართულობის გზით. პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები შემუშავდეს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შესაბამისად;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 6:**

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით დაინერგოს კვლევების, გამოკითხვების, კმაყოფილების გაზომვის პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 7:**

განხორციელდეს კულტურის სფეროსთან დაკავშირებული დეტალური გენდერული სტატისტიკის წარმოება სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 8:**

გაძლიერდეს საკრებულოს დარგობრივი კომისიის როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, შესაბამისად პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის, შესრულების ანგარიშების განხილვის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს კულტურის სფეროს გენდერული მგრძნობელობის გაზრდის მიმართულებით გასატარებელ საკითხებზე;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 9:**

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით აქტიურად დაინერგოს კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, კულტურის სფეროს თემატიკაზე დასახლებათა საერთო კრებების ოქმებში აისახოს დამსწრეთა საერთო რაოდენობა, სქესის, ასაკისა და შეზღუდული

შესაძლებლობის ნიშნით; ასევე, მოკლე ინფორმაციის სახით მიეთითოს კრებებზე ქალების მიერ დაყენებული ინიციატივები და საჭიროებები. პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენასთან დაკავშირებული კონსულტაციების ამსახველ ოქმებსა და ბიუჯეტის პროექტის, ასევე ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობა აისახოს სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 10:**

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალური მედიის გამოყენებით მუდმივად განახლებად რეჟიმში განთავსდეს დეტალური ინფორმაცია კულტურის სფეროში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი თითოეული სერვისის შესახებ, მ.შ. მიეთითოს სერვისით სარგებლობისათვის საჭირო ყველა დეტალური ინფორმაცია. შესაბამისი ინფორმაცია ასევე განახლებად რეჟიმში მიეწოდოს სოფლის მოსახლეობას და განთავსდეს საჯარო ადგილებზე.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

სპორტი

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

სათანადო მართვის პირობებში სპორტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სოციალური და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, ვინაიდან მას ერთდროულად შეუძლია გააერთიანოს ადამიანები განურჩევლად სქესის, წარმომავლობის, რელიგიის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა თუ ქონებრივი მდგომარეობისა.

სპორტის სექტორი მნიშვნელოვან კავშირებს ავლენს განათლების, ჯანმრთელობისა და ბიზნესის სფეროებთან, ამიტომ, სპორტი, როგორც პოლიტიკის ერთ-ერთი სფერო, უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს საერთაშორისო დონეზე განვითარებული ქვეყნების მხრიდან, მათ შორის, ევროკავშირის დონეზე.

ევროკავშირში გარკვეული ეკონომიკური სტიმულებიც კი მოქმედებს სპორტის ხელშემწყობი ბიზნესებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს სპორტში მოხალისეობრივ აქტივობებს.

ევროკავშირის სახელმძღვანელოს მიხედვით, სპორტის პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მიღწევა მიზნების დასახვას მოითხოვს შემდეგი მიმართულებით: - სპორტულ აქტივობებში ქალების მონაწილეობის გაზრდა; - სპორტში მწვრთნელობისა და სწავლების დარგებში გენდერული თანასწორობის მიღწევა; - გენდერის მიხედვით ძალადობის აღმოფხვრა სპორტში და სპორტის

საშუალებით; - გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა სპორტში და სპორტის მედია გაშუქებაში; - გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი წარმომადგენლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) რეკომენდაციების თანახმად, ფიზიკური აქტივობა და სპორტული ვარჯიში მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვნად ამცირებს არაგადამდები დაავადებების (აგდ) (გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ქრონიკული, რესპირაციული დაავადებები და დიაბეტი) რისკ-ფაქტორებს და ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 41 მილიონი ადამიანი (მათ შორის 30-დან 69 წლამდე ასაკის - 15 მლნ) იღუპება არაგადამდები დაავადებებით, რაც მსოფლიოში გარდაცვალების შემთხვევათა 71%-ს წარმოადგენს. არაგადამდები დაავადებები დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს. ამ ჯგუფის დაავადებებით ავადობა და სიკვდილიანობა მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობასა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

ჯანმოს მონაცემებით, მსოფლიოში ზრდასრულთა დაახლოებით 23% და სკოლის მოსწავლეთა 81% არ არიან საკმარისად ფიზიკურად აქტიურები. ამავე მონაცემებით დასტურდება, რომ გოგოებისა და ქალების ფიზიკური აქტივობა, ბიჭებთან და კაცებთან შედარებით უფრო დაბალია. ჯანმოს რეკომენდაციის თანახმად, 5 წლის ასაკიდან რეკომენდირებულია ფიზიკური აქტივობა დღის განმავლობაში 60 წუთი.

ფიზიკური აქტივობას აქვს მრავალი ფორმა: სეირნობა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი, ასევე, ცეკვა, იოგა და სხვა.

გენდერული პერსპექტივიდან, სპორტი წარმოადგენს სოციალური და კულტურული პროცესის მაგალითს, რომელშიც ქალურობისა და კაცურობის სოციალური განმარტება წამყვან როლს თამაშობს ქცევებისა და მიდგომების ზეგავლენის მოხდენაში.

სპორტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გენდერული თანასწორობის მიღწევის საშუალება, ისეთი ზოგადი ღირებულებების დაფუძნებით, როგორიცაა პატიოსანი თამაში, არადისკრიმინაციულობა და ჯგუფური სამუშაო.

სპორტში გენდერული უთანასწორობა ნიშნავს სპორტის სფეროსთვის გამოუყენებელ შესაძლებლობას.

სპორტში გოგოებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა აძლიერებს ქალთა პოზიციებს დარგის ყველა საფეხურზე, ზრდის სფეროში ჩართული პირების ცნობიერებას გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე, ცვლის საზოგადოების სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, ასევე, ქმნის უფრო უსაფრთხო გარემოს გოგოებისა და ბიჭებისათვის.

სპორტი ტრადიციულად "კაცურ" ნიშან-თვისებებთან ასოცირდება, როგორებიცაა სიძლიერე და მოქნილობა, სიჩქარე და საკმაოდ კონკურენტუნარიანი, ხანდახან მებრძოლი სული.

ბევრ საზოგადოებაში, ქალები, რომლებიც ჩართული არიან სპორტში, აღიქმებიან "კაცურად", მაშინ როდესაც კაცები, რომლებსაც არ აქვთ ინტერესი სპორტში, "არაკაცურად".

გოგონათა და ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი ნებისმიერ სპორტის სახეობაში საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს.

სპორტს შეუძლია ქალებსა და გოგოებს მისცეს წვდომა საჯარო სივრცეებზე, სადაც მათ შეუძლიათ შეიკრიბონ, განივითარონ ახალი უნარები, მიიღონ სხვებისგან მხარდაჭერა და გამოხატვისა და მოძრაობის თავისუფლებით დატკბნენ.

მას ასევე შეუძლია წაახალისოს განათლება, კომუნიკაცია, მოლაპარაკებისა და ლიდერობის უნარები, რაც მნიშვნელოვანია ქალთა გაძლიერებისათვის.

სპორტს შეუძლია გაზარდოს ქალებისა და გოგოების თვითშეფასება და მისცეს საშუალება საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა არჩევანი გააკეთონ.

სპორტი წარმოადგენს ერთ-ერთ გზას, რომ მოხდეს გოგოებისა და ქალების ინფორმირება მათი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის სხვა საკითხების შესახებ.

ქალებს შეიძლება მნიშვნელოვნად აკლდეთ უსაფრთხო და შესაფერისი სპორტული დაწესებულებები, რაც პოტენციურად აქცევს მათ ფიზიკური ან/და ვერბალური სექსუალური შევიწროვებისა და თავდასხმის საშიშროების ქვეშ. მათ ასევე შესაძლოა განიცადონ დამატებითი ფიზიკური დაბრკოლებები, დროის ნაკლებობა ან/და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული პუნქტების ნაკლებობა.

სპორტული ობიექტების მომსახურებაში გენდერული უთანაბრობის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ქალებისთვის საჯარო მატერიალური და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

გენდერული უთანასწორობა სპორტში, არის მსოფლიო მასშტაბის გამოწვევა, რომელიც შესაძლოა მრავალი სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული: - მასობრივ სპორტში კაცთა და ქალთა არათანაბარი ჩართულობა; - კაცებთან შედარებით ქალთა დაბალი ფიზიკური აქტივობა; - სპორტულ სექციებსა და ფიზიკურ აღზრდაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა; - სტერეოტიპული დამოკიდებულებები „კაცთა" და „ქალთა" სპორტის შესახებ; პროფესიულ სპორტში ქალი სპორტსმენების დაბალი ჩართულობა; - ქალი სპორტსმენების მონაწილეობით სპორტული შეჯიბრებების მედია გაშუქების დაბალი სიხშირე; - სპორტული ორგანიზაციების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა არათანაბარი მონაწილეობა; - ქალებისა და კაცების არათანაბარი ხელმისაწვდომობა სფეროში არსებულ რესურსებსა და მატერიალურ სიკეთეებზე და სხვა.

განსხვავებები ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ქვეყნის ტრადიციებს, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, სპორტის განვითარების პოლიტიკას და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ქვეყანა სთავაზობს გოგოებსა და ბიჭებს, ქალებსა და კაცებს სპორტში მონაწილეობისთვის.შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქალებისა და კაცების არათანაბარი ჩართულობა სპორტში გამოწვევაა მსოფლიო მასშტაბით.[58] ევროკავშირის კომისიის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა სპორტში გენდერული

[58] Mainstreaming Gender in Sports Projects. Gender & Sport. Swiss Agency for Development and Cooperation (SDC), 2005.

თანასწორობის საკითხებზე[59] დაადგინა, რომ სპორტში გენდერულ უთანასწორობას აქვს სხვადასხვაგვარი გამოხატულება: ფიზიკურ აქტივობაში კაცთა და ქალთა არათანაბარი ჩართულობა; სპორტულ სექციებსა და ფიზიკურ აღზრდაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა; სტერეოტიპული დამოკიდებულებები „კაცთა“ და „ქალთა“ სპორტის შესახებ; პროფესიულ სპორტში ქალი სპორტსმენების დაბალი ჩართულობა; ქალების მონაწილეობით გამართულ შეჯიბრებებში მედია გაშუქების დაბალი სიხშირე; სპორტული ორგანიზაციების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების არათანაბარი მონაწილეობა; ქალებისა და კაცების არათანაბარი ხელმისაწვდომობა სფეროში არსებულ რესურსებსა და მატერიალურ სიკეთეებზე; გენდერული ნიშნით შევიწროვება და სხვა.

მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო დონეზე

სპორტისა და ფიზიკურ აქტივობის ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით გარანტირებულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** ეხება პიროვნების ძირითად უფლებებს და უმთავრეს დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრების უფლებებს. დეკლარაციის 25 (1) მუხლი განსაზღვრავს ყველა ადამიანის უფლებას შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966) აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში (15.1.a). კულტურული უფლებები ადამიანის ფუნდამენტური უფლებების განუყოფელი ნაწილია და მათი დაცვა აუცილებელია მრავალფეროვან და მულტიკულტურულ სამყაროში, ადამიანის ღირსების პატივისცემისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. სპორტი და სპორტული თამაშები არამატერიალური მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს და კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლოს წარმოადგენს. 15-ე მუხლით გათვალისწინებული კულტურული უფლებები სპორტსა და სპორტულ თამაშებსაც მოიცავს[60]. სპორტი და სპორტული თამაშები მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება სოლიდარობის, ჩართულობის და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად[61]. ადამიანები სპორტში სხვადასხვა კუთხით არიან ჩართულნი - როგორც პროფესიონალები, მოყვარულები, გულშემატკივრები, ორგანიზატორები, დამკვირვებლები თუ კომენტატორები. სპორტულ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლება ყველა აღნიშნულ ასპექტს და მონაწილეობის ყოველგვარ ფორმას მოიცავს.

[59] “Gender Equality in Sport”, Proposal for Stratgic Actions 2014-2020, approved by the Group of Experts.
[60] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ზოგადი 21-ს კომენტარი
[61] UNESCO, Traditional Sports and Games: a challenge for the future, http://www.unesco.org/new/en/social-and-human-sciences/themes/sport/physical-education-andsport/traditional-sports-and-games/

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) საერთაშორისო ქარტია ფიზიკური აღზრდისა, ფიზიკური აქტივობის და სპორტის შესახებ[62] (1978) განსაზღვრას სპორტს, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და მიიჩნევს, რომ ყველას აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს, განათლების სისტემის ფარგლებში თუ მის გარეთ, სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაზე, რაც ადამიანის განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული ქარტიის თანახმად, ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის ეტაპზე, სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი და განვითარდნენ ფიზიკური აღზრდისა და მათთვის სასურველი სპორტის საშუალებით.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (2006) მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კონვენციის თანახმად, სხვა ვალდებულებებს შორის, მონაწილე სახელმწიფოებმა მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უნდა უზრუნველყონ ბავშვის ჯანმრთელი განვითარება, ასევე მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარება; გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების, თამაშებში და გასართობ ღონისძიებებსა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1979), (კერძოდ მისი მე-10 და მე-13 მუხლები) აღიარებს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, როგორც ფუნდამენტურ უფლებას და ამ მიმართულებით ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებს.

კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ აღმოფხვრან ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, რათა მათთვის უზრუნველყონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება განათლების სფეროში, კერძოდ, სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დასვენებასა და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და უზრუნველყონ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი მონაწილეობს უფლება.

1994 წელს, პირველ მსოფლიო კონფერენციაზე „ქალები სპორტში" მთავრობათა და არსამთავრობო ორგანიზაციათა დელეგატებმა მიიღეს **„ბრაიტონის დეკლარაცია - ქალები სპორტში"**[63]. აღნიშნული დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, სპორტის ყველა ასპექტში ქალთა სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის მისაღწევად, შეიმუშაონ სათანადო პოლიტიკა, მიდგომები, მექანიზმები და ჩამოყალიბონ შესაბამისი სტრუქტურები რათა (ა) უზრუნველყონ ქალებისა და გოგონებისთვის თანაბარი შესაძლებლობები სპორტში მონაწილეობისთვის მათთვის უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოში, მათი უფლებების და ღირსების დაცვით; (ბ) გაზარდონ ქალთა თანაბარი ჩართულობა სპორტის ყველა დონეზე და ყველა ფუნქციაში;

[62] http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=13150&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html
[63] 12 http://www.sportsbiz.bz/womensportinternational/conferences/brighton_declaration.htm

(გ) უზრუნველყონ, რომ ქალების ცოდნამ, გამოცდილებამ და ღირებულებმა ხელი შეუწყონ სპორტის განვითარებას; (დ) აღიარონ და ხელი შეუწყონ სპორტის როლის წარმოჩენას პირადი განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის.

2004 წელს, **საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა,** თავის წესდებაში შეიტანა ცვლილებები, რის შედეგადაც კომიტეტის მისიას დაემატა: „სპორტში ნებისმიერ დონეზე და ყველა სტრუქტურაში ქალების მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპის დაცვით“[64].

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1701 (2005) „სპორტში ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციის თაობაზე“[65] აღნიშნავს, რომ სპორტში ქალთა და გოგონათა ჩართულობა კვლავ გამოწვევად რჩევა. რეზოლუციის თანახმად, გამოწვევას წარმოადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, სპორტის სფეროში - როგორც პროფესიული ასევე სამოყვარულო მიმართულებით, განსაკუთრებით კი ოლიმპიურ თამაშებში. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ დისკრიმინაცია ვლინდება სხვადასხვა სტერეოტიპების არსებობით, ასევე მხარდაჭერის ნაკლებობით გოგონებისა და ქალების სრული პოტენციალის გამოვლენის მიმართ, ოჯახური ვალდებულებებისა და პროფესიული/სპორტული ცხოვრების შეთავსების სირთულეებით, სპორტულ ცხოვრებაში რეინტეგრაციის პრობლემით, სათანადო მედია გაშუქების ნაკლებობით და ქალთა სპორტის არასაკმარისი დაფინანსებით. საპარლამენტო ასამბლეა ასევე მიიჩნევს, რომ სპორტის სფეროს მმართველ ორგანოებში ქალების არათანაბარი წარმომადგენლობა განსაკუთრებულ დაბრკოლებას წარმოადგენს სპორტში ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის დამკვიდრების თვალსაზრისით. რეზოლუცია მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები ამ სფეროში საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

გარდა ამისა, 2015 წელს, ევროპის საბჭომ მიიღო **რეკომენდაცია “სპორტში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ“**[66], რომლითაც მოუწოდებს სახელმწიფოებს გაატარონ შესაბამისი ზომები სპორტში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით.[67] სპორტში გენდერული უთანასწორობა ნიშნავს სპორტის სფეროსთვის გამოუყენებელ შესაძლებლობას[68]. დარგში გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა აძლიერებს ქალთა პოზიციებს დარგის ყველა საფეხურზე, ზრდის სფეროში ჩართული პირების ცნობიერებას გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე, ცვლის საზოგადოების სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, ასევე, ქმნის უფრო უსაფრთხო გარემოს გოგონებისა და ბიჭებისათვის. ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2015) რეკომენდაცია სპორტში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ და ასევე, ევროკავშირის 2014-2020 წლების სტრატეგიულ გეგმა სპორტში გენდერული თანასწორობის შესახებ ხაზს უსვამს სპორტში გენდერული უთანასწორობის სტრუქტურულ ხასიათს და სახელმწიფოებს მოუწოდებს გენდერული მეინსტრიმინგის დასანერგად პოზიტიური ზომების მიღებისაკენ, ამისათვის ხაზგასმულია

[64] საერთაშორისო ოლიმპიური ქარტია, ქართულენოვანი თარგმანი. http://bit.ly/2DX2J92
[65] http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17324&lang=en
[66] Recommendation CM/Rec(2015)2 of the Committee of Ministers to member States on gender mainstreaming in sport
[67]“გენდერული მეინსტრიმინგის პრინციპი მდგომარეობს ქალებისა და კაცების განსხვავებული მდგომარეობისა და საჭიროებების სისტემატურად გათვალისწინებაში პოლიტიკის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე.” ევროკომისიის განმარტება
[68] “Gender Equality in Sport”, Proposal for Stratgic Actions 2014-2020, approved by the Group of Experts.

გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების, მეტი კვლევების და გენდერული თანასწორობის შესაბამისი ინდიკატორების განვითარების საჭიროება.

მნიშვნელოვანია სპორტის როლი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისითაც.

2005 წელი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, განათლების, ჯანდაცვის, განვითარებისა და მშვიდობის საკითხებში სპორტის როლის გასაძლიერებლად. ამასთან, გენერალურმა ასამბლეამ რვა სხვადასხვა რეზოლუცია მიიღო სპორტის შესახებ, აქედან ექვსი ეძღვნება სპორტს, როგორც განათლების, ჯანდაცვის, განვითარებისა და მშვიდობის დამყარების საშუალებას[69]. აღნიშნული რეზოლუციები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სპეციალიზებულ ორგანოებს, სხვადასხვა ფონდებისა და პროგრამების მეშვეობით, აღიარონ და გააძლიერონ სპორტის როლი ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, გააუმჯობესონ სხვადასხვა ჩართული პირების შესაძლებლობები, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურა და იპოვონ ინოვაციური გზები, იმისთვის რომ სპორტის გამოყენება მოხდეს სოციალური მობილიზაციისა და დიალოგის წასახალისებლად.

გაეროს საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი "სპორტი განვითარებისა და მშვიდობისათვის" მოუწოდებს სახელმწიფოებს გააძლიერონ სპორტის როლი სოციალური ინკლუზიის, კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის დაცვის, ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, ბავშვებისა და ახალგაზრდების სწორი განვითარებისა და განათლების, ასევე გენდერული თანასწორობისა და გოგონებისა და ქალების გაძლიერების მიზნით.[70]

2017 წელს, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე პასუხიმგებელ მინისტრთა და მაღალი თანამდებობის პირთა მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული სამოქმედო გეგმით[71] მხარეებმა იკისრეს პოლიტიკური ვალდებულება - სპორტში და სპორტის მეშვეობით შეიტანონ წვლილი **გაერთიანებული ერების დღის წესრიგში - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა - 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის"[72],** რომლის ერთ-ერთი მიზანია გენდერული თანასწორობა.

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობათა გაუმჯობესება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების[73] მე-5 მიზანს[74] წარმოადგენს. მე-5 მიზანი რამდენიმე გლობალურ ამოცანასთან ერთად ასევე მოიცავს, ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირებას (5.1), ასევე, ქალებისა და გოგონების მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას (5.2), პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ

[69] 4 UN General Assembly Resolutions 58/5 of 3 of November 2003, 59/10 of 27 October 2004; 60/1 of 16 September 2005; 61/10 of 3 November 2006; 62/271 of 23 November 2008 and 65/4 of 23 November 2010.
[70] Harnessing the Power of Sport for Development and Peace, Recommendations to Governments, Sport for Development and Peace, International Working Group, 2008.
[71] MINEPS VI, Kazan Action Plan, official text - https://goo.gl/mCWukd
[72] გაერო საქართველოში, მდგრადი განვითარების მიზნები: http://bit.ly/2KO5evX
[73] https://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/
[74] https://www.un.org/sustainabledevelopment/gender-equality/

ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას (5.5).

მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესავლისა და დეკლარაციის ნაწილში ვხდებით შემდეგ ჩანაწერს მდგრად განვითარებასა და სპორტს შორის კავშირის შესახებ: „სპორტი ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მდგრადი განვითარებისათვის. ჩვენ ვაღიარებთ სპორტის მზარდ წვლილს განვითარების რეალიზაციასა და მშვიდობის ხელშეწყობაში, ტოლერანტობისა და პატივისცემის დანერგვის მიმართულებით, ასევე იმ წვლილს, რომელიც სპორტს შეაქვს ქალების და ახალგაზრდების, ინდივიდებისა და საზოგადოებების უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებაში, ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური ჩართულობის მიზნების შესრულებაში“.[75] როგორც ვხედავთ, დოკუმენტში აღიარებულია სპორტის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების სხვა მიზნების შესრულებისას.

გაერო აღიარებს სპორტის პოტენციალს ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების ათი მიზნისა და ოცზე მეტი ამოცანის მიღწევას.[76] ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მდგარდი განვითარების მე-3 მიზნის („ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის“) ამოცანა 3.დ: „ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური რისკების ადრეული გაფრთხილების, რისკების შემცირების და მათი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“. ასევე, მე-8 მიზნის („სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“) ამოცანა 8.9: „2030 წლისთვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მდგრადი ტურიზმის მხარდასაჭერად - რომლის შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაცია“.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1979) (კერძოდ მისი მე-10 და მე-13 მუხლები) ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებს[77].

გარდა ამისა, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა ხაზგასმით აღნიშნავს სპორტის როლს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და გენდერული დისკრიმინაციის დაძლევაში და ყურადღებას ამახვილებს სპორტის მნიშვნელობაზე ქალთა ჯანმრთელობის[78], ასევე, განათლების, უნარების გაძლიერებისა და პროფესიულ თუ რეკრეაციულ სპორტში თანასწორი ჩართულობის თვალსაზრისით.

[75] 20 https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld

[76] ეს მიზნებია: 3, 4, 5, 7, 8, 10, 11, 12, 13, 16.

[77] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ აღმოფხვრან ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, რათა მათთვის უზრუნველყონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება განათლების სფეროში, კერძოდ, სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები (მუხლი 10. ზ). გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დასვენებასა და სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და უზრუნველყონ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი მონაწილეობს უფლება (მუხლი 13. c)

[78] პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის სტრატეგიული მიზანი C.2. (f)

ადგილობრივ დონეზე

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად[79], სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე.

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ"[80] თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს, ასევე უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"[81] თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებად განსაზღვრულია: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს რიგი ღონისძიებები, მ.შ. მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

"სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სპორტის სფეროში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა და დაცვა;

თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიის[82] დოკუმენტის მიხედვით, შემდეგი ოთხი ძირითადი მიზანია გამოკვეთილი: მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და მისი ხელმისაწვდომობა; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; ასაკობრივი გუნდების გამართული სისტემა; წარმატებული სპორტული კლუბების ჩამოყალიბება. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, სპორტი ჩართოს საზოგადოების სამსახურში და უზრუნველყოს სპორტის გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი ფუნქციის მაქსიმალურად გამოყენება, ხელი შეუწყოს სპორტის, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის, სწორ ინსტიტუციურ

---

[79] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

80 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: https://matsne.gov.ge/ka/ document/view/91624?publication=9#!

[81] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72

[82] https://telavi.gov.ge/ge/strategiakoncepciagegma

საწყისებზე დაფუძნებასა და სპორტის ინდუსტრიის პოზიტიურ გავლენას საფინანსო-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე.

მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო

მუნიციპალურ დონეზე სპორტის სფეროში პოლიტიკას ანხორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. სამსახურის შემადგენლობაში შედის ორი განყოფილება: - კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება; - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

დებულების თანახმად, სამსახური უფლებამოსილია: - კოორდინაცია გაუწიოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის, სპორტისა და აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას; - კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპერქტიული გეგმების შემუშავება; - მოსახლეობის სპორტულ გამაჯანსაღებელი პროგამების შემუშავება, დანერგვა და შესრულება; მუნიციპალიტეტის მასობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმების შემუშავება; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენა და აღწერა; - მასობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიძება ახალგაზრდობის ჩართულობით; - საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია და ხელშეწყობა; - ურთიერთობის დამყარება სხვა ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

არსებული გარემოს მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით:

თელავის მუნიციპალიტეტში მოწყობილია 19 მინი მოედანი, მათ შორის 6 ახალი მოედანია, ქალაქ თელავში სულ 11 მინი მოედანია, 5 მათგანი საჭიროებს რეაბილიტაციას. სულ 30 მინი მოედანია.

სამ სოფელში მდებარეობს ფეხბურთის სტადიონი, სამივე სტადიონი ბუნებრივი ბალახის საფარისაა.

ქალაქ თელავში ერთი რაგბის სტადიონია, სადაც დროებით თამაშებს მართავს საფეხბურთო კლუბიც. „კავკასიონი არენა“ გათვლილია 800 მაყურებელზე.

ამჟამად, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე „გივი ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონი“ საფეხბურთო კლუბ „თელავის“ და ყველა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვთა სავარჯიშო ბაზაა.

სრულდება ბუნებრივსაფარიანი სათადარიგო სტადიონის მშენებლობა, დასრულდა რეგიონული მნიშვნელობის ჩოგბურთის კორტების მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომელიც გათვლილია ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისათვის.

მოწყობილია 1 მრავალფუნქციური სპორტული სივრცე, სადაც თავმოყრილია როგორც სპორტული, ასევე სარეკრეაციო სივრცე. კერძოდ, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედნები, სავარჯიშო ტრენაჟორები, სარბენი ბილიკი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. საფეხბურთო სტადიონი გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეების სავარჯიშოდ და თამაშებისთვის.

ქალაქ თელავში 4 სპორტული კომპლექსია (დარბაზი): ერთი ჭიდაობის დარბაზი, ერთი ბოქსის დარბაზი, ერთი სპორტის სასახლე და კიდევ ერთი საერთაშორისო თამაშებისთვის განკუთვნილი სპორტის სასახლე.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწყობილია და ეტაპობრივად ეწყობა 5 ღია ტიპის და 13 დახურული ტიპის სავარჯიშო სივრცეები. მიმდინარეობს ერთი ღია და ერთი დახურული სავარჯიშო სივრცის მოწყობა და აღჭურვის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები

სპორტის სფეროს განვითარებაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 3 ქვეპროგრამაა გათვალისწინებული. (დეტალურად იხილეთ დანართი #7).

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**2166.22**	**3745.74**	**3341.32**	**2958.7**	**2460**	**2602.3**
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	554.8	1,537.8	882.9	543.7	0.0	0.0
05 01 02 [83]	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1596.96	2112.65	2278.4	2230	2270	2407.3
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	14.5	95.3	180.0	185.0	190.0	195.0

ცხრილი #6.

სპორტის სფეროს განვითარების პროგრამით მოსარგებლე პირების რაოდენობა შეადგენს 1728 პირს, მ.შ. გოგო 330, ხოლო ბიჭი 1398-ია.

როგორც პროგრამის აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, "პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას".

კულტურის ღონისძიებები და კულტურის ორგანიზაციების სერვისები იგეგმება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, რათა პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს".

თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

- **ცხოვრების ჯანსაღი წესის ნაკლები პოპულარიზაცია**

[83] მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული დანართის მიხედვით, სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა 4 ღონისძიებად არის ჩაშლილი. იხილეთ დანართი #6

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, ადამიანებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხ მნიშვნელობის პოპულარიზაცია საკმარისად არ ხდება, მნიშვნელოვანი არაფერი კეთდება მასობრივი სპორტის მნიშვენლობაზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად. აქტიური საინფორმაციო კამპანია არ იწარმოება არც სასპორტო სკოლების და არც სჯარო სკოლების დონეზე.

„საინფორმაციო კამპანია არ იწარმოება, საჯარო სკოლები არაფერს აკეთებენ ამ კულტურის საზოგადოებაში დასანერგად, ბევრი მოსწავლე თამბაქოს მომხარებლია“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„სასურველია საინფორმაციო კამპანიებში აქტიურად ჩაერთონ ცნობადი სახეები, მ.შ. სპორტსმენები, განსაკუთრებით კი თელაველები“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

- **სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, სპორტული წრეების ნაკლებ ხელმისაწვდომობას იწვევს არსებული სატრანსპორტო პოლიტიკა, განსაკუთრებით ეს არის გამოწვევა სოფლად მცხოვრები პირებისთვის.

„*სოფლებიდან უჭირთ სპორტზე სიარული და ამისათვის საჭიროა დამატებით ტრანსპორტის გამოყოფა, კონკრეტული მიზნისთვის და შესაბამისად კონკრეტული მარშრუტებით“*

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ბარიერი ასაკობრივი შეზღუდვაა.

„კარგი იქნებოდა გაიზარდოს სერვისის მიმღებთა ასაკი და ზრდასრულთათვისაც იყოს სერვისებით სარგებლობა შესაძლებელი სპორტულ ა(ა)იპებში“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, სპორტულ წრეებზე ნაკლებია გოგოების ხელმისაწვდომობა, სპორტული წრეები უფრო ბიჭების ინტერესებზეა ორიენტირებული, ვიდრე გოგოების ინტერესებზე. შესაბამისად, აქტივობებში ჩართულობის, სპორტული ობიექტების ბენეფიციართა მხრივ ბიჭები ლიდერობენ. შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტსმენ გოგოებს, მათთვის შესაბამისი სპორტული აქტივობების, სპორტული შეჯიბრებების დანერგვას.

„გოგონათა საკალათბურთო გუნდს არ ექცევა ისეთი დიდი ყურადღება , როგორც ბიჭებისას . ვფიქრობ უფრო მეტი მხარდაჭერა თუ ექნებათ ,ნამდვილად მიაღწევენ მეტ წარმატებას“.

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„შეხვედრებისას სოფლის მოსახლეობას არა ერთხელ დაუფიქსირებია მოსაზრება, რომ სოფელში არსებობს უფრო მეტად ბიჭებზე ორიენტირებული სპორტული წრეები, ვიდრე გოგონებზე. პროგრამების და ნებისმიერი აქტივობის დროს წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს ისეთი ტიპის აქტივობები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის“.

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„არსებულ სერვისებში გოგოებისა და ბიჭების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო მეტი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურნირების ჩატარება“.
(სპორტის სფეროში შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„სპორტულ აქტივობებში ჩართულობის სურვილი სოფლად არ მოიაზრებს გოგოების ავტომატურ ჩართულობას ამ მიმართლებით. ხშირად მხოლოდ ბიჭებზე ზრუნავენ სოფლად მცხოვრები ოჯახები, როდესაც სპორტული წრეების ხელმისაწვდომობის გაზრდას ითხოვენ“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები მე არასდროს მინახავს სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩართულები. არც ვიცი, თუ აქვთ სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის სურვილი ან საერთოდ თუ იციან მონიციპალური სპორტული სერვისების შესახებ“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„სპორტის სფეროს დაფინანსება თანაბრად არ ნაწილდება სპორტის სხვადასხვა სახეობებზე“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

- **სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული ინფრასტრუქტურის საკითხს, ვინაიდან ის არის სპორტის სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. უნდა მოხდეს უსაფრთხო გარემოს შექმნა, კეთილმოეწყოს საპირფარეშოები და გასახდელები, ასევე საჭიროა ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირებისათვის.

„სპორტსკოლაში ძალიან ბევრ ტრამვებს იღებენ სპორტსმენები, ცუდი იატაკის გამო“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„სოფლად არსებული სპორტული მოედნები საჭიროებს ახალი ბალახის საფარის, სადრენაჟე სისტემის და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას, ხოლო ორი სტადიონი საჭიროებს სრულ რეაბილიტაცია/მშენებლობას“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე)

- **კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, კვალიფიციურ მწვრთნელთა სიმცირეა, რადგან მათი ანაზღაურება არ არის კონკურენტული. განსაკუთრებით კი ქალი მწვრთნელების ნაკლებობაა, შესაბამისად ცალკეულ შემთხვევებში ეს არის გოგოების სპორტულ აქტივობებში ნაკლები ჩართულობის მიზეზი.

- **კვლევების ნაკლებობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, სერვისების დაგეგმვისას ძირითადად კვლევები არ ტარდება, რაც შეეხება სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას, ამ მიმართულებითაც ცალკეული შემთხვევების გარდა, ძირითადად კვლევებს ინტენსიური ხასიათი არ აქვს.

„სერვისების დაგეგმვისას კვლევები არ ტარდება, სერვისების მიწოდება ხდება მოსახლეობის მხრიდან მომართვების საფუძველზე“

(სერვისის მიმწოდებელი ა(ა)იპ-ის წარმომადგენელი)

„გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პროგრამების დაგეგმვის დროს შესაბამისი კვლევების ჩატარება“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების თანაბარი ხელმისაწვდომობის მხრივ გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდაცია 1:**

სპორტის სფეროს გენდერული მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის, საერთაშორისო და ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი ჩარჩოს, მოკვლევების მიგნებების გათვალისწინების, სამოქალაქო სექტორის და სერვისის როგორც მიმწოდებელთა, ასევე მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის საფუძველზე გადაიხედოს მუნიციპალიტეტის სპორტის 2019-2025 წლების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე სპორტის სფეროში;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - 2024 წელი

- **რეკომენდაცია 2:**

მერიის სამსახურებს შორის მჭიდრო კოორდინაციით სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას სპორტული ცენტრების სერვისების, სპორტული ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მცხოვრები პირებისათვის;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 3:**

სპორტული ცენტრების, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლების გეგმა ორიენტირებული უნდა იყოს თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - 2024-2025 წელი

- **რეკომენდაცია 4:**

სხვადასხვა სახის შეხვედრების, ტრენინგების გზით ამაღლდეს სპორტის სფეროში ჩართული პირების, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირებულობა სპორტის სფეროს გენდერული მნიშვნელობის შესახებ;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 5:**

სპორტის სფეროს პრიორიტეტს ჰქონდეს ერთი გენდერული მიზანი, შესაბამისად მოხდეს პრიორიტეტის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძებების დაგეგმვა გენდერული ბიუჯეტირების ჭრილში, მოქალაქეების აქტიური ჩართულობის გზით. პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები შემუშავდეს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შესაბამისად;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 6:**

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით დაინერგოს კვლევების, გამოკითხვების პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას სპორტის სფეროში;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 7:**

განხორციელდეს სპორტის სფეროსთან დაკავშირებული დეტალური გენდერული სტატისტიკის წარმოება სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 8:**

გაძლიერდეს საკრებულოს დარგობრივი კომისიის როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, შესაბამისად პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის, შესრულების ანგარიშების განხილვის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს სპორტის სფეროს გენდერული მგრძნობელობის გაზრდის მიმართულებით გასატარებელ საკითხებზე;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 9:**

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით აქტიურად დაინერგოს სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, სპორტის სფეროს თემატიკაზე დასახლებათა საერთო კრებების ოქმებში აისახოს დამსწრეთა საერთო რაოდენობა, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; ასევე, მოკლე ინფორმაციის სახით მიეთითოს კრებებზე ქალების მიერ დაყენებული ინიციატივები და საჭიროებები. პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენასთან დაკავშირებული კონსულტაციების ამსახველ ოქმებსა და ბიუჯეტის პროექტის, ასევე ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობა აისახოს სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 10:**

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალური მედიის გამოყენებით მუდმივად განახლებად რეჟიმში განთავსდეს დეტალური ინფორმაცია სპორტის სფეროში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი თითოეული სერვისის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესახებ, მ.შ. მიეთითოს სერვისით სარგებლობისათვის საჭირო ყველა დეტალური ინფორმაცია. **შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები** - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 11:**

სპორტულ ობიექტებზე ბენეფიციართა რაოდენობის ზრდისა და ობიექტების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით თითოეული ობიექტისთვის შემუშავდეს მომხმარებელთა მოზიდვის გეგმა და მიაწოდონ მათ ინტერესებზე/საჭიროებებზე მორგებული სერვისები. ობიექტთან მიმართებით განისაზღვროს შესაბამისი შეფასების ინდიკატორები და დაინერგოს მონიტორინგის სისტემა.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 12:**

ცხოვრების „უძრავი წესი"-ს წინააღმდეგ, სამოქალაქო საზოგადოების, დარგის სპეციალისტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტის წარმომადგენლების ჩართულობით და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, შემუშავდეს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის კამპანიის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 13:**

სპორტში დიდი მიღწევების მისაღებად სასურველია სპორტის კონკრეტული დარგების შესაბამისად ცნობილი სახეების ვიზიტები მასტერკლასების სახით, ასევე ახალგაზრდა სპორტსმენების წახალისება სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

განათლება

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

განათლება წარმოადგენს სოციალური ცვლილების მაჩვენებელს და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების განხორციელების პირობას. ის ზრდის კოგნიტურ და არაკოგნიტურ უნარებს, აუმჯობესებს პროდუქტიულობას და ადამიანებს უკეთეს შესაძლებლობას სთავაზობს მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის. ის ასევე ამზადებს ქალებსა და კაცებს იმისთვის, რომ ჰქონდეთ სტაბილური, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და ამგვარად, ებრძოლონ სოციალური გარიყვის რისკებს. გარდა ამისა, განათლებას შეუძლია უკეთესად მოამზადოს ადამიანები რთული სიტუაციების გამოვლენისა და მართვისთვის.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა უფრო მარტივს ხდის რთული სიტუაციისთვის თავის არიდებას, როგორიცაა, მაგალითად, ძალადობრივი გარემო. ამავე დროს, განათლებულ მოქალაქეებს, როგორც ქალებს, ასევე კაცებს, სარგებელი მთელი საზოგადოებისთვის მოაქვთ. მათ არსებითი წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში და აუმჯობესებენ საკუთარი ოჯახების ჯანმრთელობის, კვებისა და განათლების დონეს.

გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი განათლების სფეროში და სატრენინგო პოლიტიკა რჩება უმნიშვნელოვანესად იმ ქვეყნებში, სადაც თანაბარი წვდომა განათლებისადმი აღიქმება, როგორც მოცემულობა, და რაც წარმოადგენს რეალობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობისათვის.

სოციალური ინკლუზიისა და დასაქმების მაჩვენებლები და სამსახურის ხარისხის ინდიკატორები ცხადყოფენ, რომ ევროკავშირში ქალები რჩებიან სოციალური გარიყვის, უმუშევრობისა და დაბალი ხარისხის სამსახურის ქონის გაზრდილი რისკის ქვეშ.

საშუალოდ, ქალები ასევე რჩებიან ოდნავ უფრო მეტი ალბათობით დაუსაქმებლებად, ვიდრე კაცები, იგივე ხარისხის განათლების მიუხედავად. ეს მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება ევროკავშირში გოგოებისა და ქალების მთლიანი წარმატების მაღალი მაჩვენებლებისგან, სასკოლო განათლების დასრულების, უმაღლეს განათლებაზე წვდომისა და მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე სწავლის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში სკოლისგარე საქმიანობასა და აქტივობებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. ასეთ აქტივობებში მონაწილეობა ხელს უწყობს ახალგაზრდების ჯანსაღ განვითარებას და პოზიტიური და ნაყოფიერი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს. ეს საქმიანობა აუმჯობესებს სოციალიზაციის მაჩვენებელსა და სასწავლო შედეგებს სკოლაში, ხელს უწყობს ძალადობის შემცირებას, ზრდის სამოქალაქო განათლების ხარისხს, აუმჯობესებს ფიზიკურ და მენტარულ ჯანმრთელობას, ავითარებს თვითპატივისცემის შეგრძნებას.

აღნიშნული აქტივობების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელია ახალგაზრდების ცენტრების მეშვეობით. ეს ცენტრები შეიძლება მოიცავდეს საგნობრივ, მუსიკალურ, საცეკვაო, სპორტულ, არტისტულ და მრავალ სხვა მიმართულებას.

საყურადღებოა, რომ ასეთ ცენტრებზე ხელმისაწვდომობა დიდ ქალაქებში და რეგიონებში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. განსხვავება შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ თავად ცენტრების არსებობა/არარსებობის საკითხს, არამედ მიმართულებებისა და მასწავლებლების დეფიციტს.

სკოლისგარე საქმიანობაში მონაწილეობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სწორედ გოგონებისთვის შეიძლება გახდეს. ეს საქმიანობა მათ ეხმარება არა მხოლოდ კავშირების დამყარებაში (მათ შორის, ახალი მეგობრების შეძენაში), არამედ ხელს უწყობს რიგი უნარების განვითარებასა და თავდაჯერებულობის ზრდას. ახალგაზრდობის ცენტრები უსაფრთხო ადგილს წარმოადგენენ, რომელთა ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემო შეიძლება გახდეს საუკეთესო შედეგების მიღწევის გარანტი.

ცენტრების საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მარგინალიზებული, იზოლირებული და მოწყვლადი ჯგუფების წევრებისთვისაც. მაშინ, როდესაც ცენტრებში არსებული მიმართულებები

ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია, უფრო რეალურია, რომ მოხდეს დამკვიდრებული სოციალური ნორმებისა და სტერეოტიპების რღვევა. მაგალითად, გოგონების მიერ მათემატიკით ან საავიაციო საქმიანობით დაინტერესება ხელს უწყობს მრავალფეროვანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამის შედეგად კონკრეტული სფეროები შეიძლება აღარ იყოს დომინირებული მამაკაცებით.

გოგონების მხარდაჭერა და ეფექტიანი სკოლისგარე პროგრამების შეთავაზება არის მნიშვნელოვანი როგორც გოგონების, ასევე მთლიანი საზოგადოების გაძლიერებისათვის. ქალთა განათლებაში ინვესტირება, ძლიერი ქალი ლიდერების მხარდაჭერა ქმნის უფრო ძლიერ და წარმატებულ გარემოს საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც, ხელს უწყობს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ამცირებს სიღარიბესა და უთანასწორობას, ქმნის მეტად სამართლიან და მდგრად საზოგადოებას.

კულტურის სფეროში მოღვაწეობა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ტრამპლინი პერსონალური ზრდისა და კრეატიული განვითარების მიმართულებით.

ეს აქტივობები გოგონებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ წარმოსხვის უნარები, შეისწავლონ სხვადასხვა პერსპექტივა, უკეთესად გამოხატონ საკუთარი თავი. ასევე, ეს მონაწილეობა აძლიერებს კოგნიტურ ფუნქციებს, ემოციურ ინტელექტს, ამცირებს სტრესსა და შფოთვას.

საკომუნიკაციო, ჯგუფური მუშაობისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარების დახვეწა იწვევს არა მხოლოდ უკეთეს აკადემიურ შედეგებს, არამედ ღირებულ საფუძველს ქმნის კარიერული და პერსონალური ურთიერთობების განვითარების მიმართულებით.

კულტურულ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბარიერების მოხსნისა და მრავალფეროვნების გაძლიერების მიმართულებითაც. კულტურულ განათლებას შეუძლია ტრანსფორმაციული გავლენის მოხდენა, რაც მოიცავს საზოგადოების თითოეული წევრისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნას, საკუთარი კულტურული იდენტობის შესწავლას, სხვა კულტურების მიმართ პატივისცემის გაძლიერებას. ცეკვის, მუსიკის, ხელოვნებისა და ენების დაუფლება უკავშირდება საკუთარი და სხვა კულტურების უფრო სიღრმისეული აღქმის შესაძლებლობებს. კულტურული ღონისძიებები შემეცნების გარდა შესაძლოა სხვა დატვირთვასაც იძენდეს, მაგალითად, მიზნად ისახავდეს ცნობიერების ამაღლებას, გენდერული თანასწორობის მიღწევას, გარემოსდაცვითი მიმართილებით უნარების განვითარებას, მოწყვლადი და მარგინალიზებული პირების მხარდაჭერას და სხვა. ასეთ სფეროში მონაწოლეობა სცდება სწავლების ტრადიციურ მეთოდებს. გოგონები და ბიჭები შესაძლოა თავადაც ჩაერთონ კულტურული ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვასა და ორგანოზებაში, რაც მათ ორგანიზაციულ და მენეჯერულ უნარებსაც ავითარებს, ხელს უწყობს სოციალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და კრეატიულობის ზრდას.

მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო დონეზე

გოგოებისა და ბიჭებისთვის, ქალებისა და კაცებისთვის განათლების უფლების თანაბრად უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებაა.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია[84], კერძოდ, მისი მე-10 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს, განათლების სფეროში აღმოფხვრან ყველა სახის გენდერული დისკრიმინაცია.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი ცალკე რეკომენდაციას უძღვნის განათლების სფეროს. კერძოდ, კომიტეტის 36-ე ზოგადი რეკომენდაცია (2017), რომელიც ქალებისა და გოგონების განათლების უფლებას ეხება[85], მიიჩნევს, რომ აღნიშნულ უფლებას, სულ მცირე, სამი განზომილება გააჩნია, კერძოდ: ყველა გოგონასა და ქალს უნდა ჰქონდეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (right of access to education); ასევე, განათლების სფეროში სახელმწიფომ უნდა შეძლოს არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა (right within education); და ბოლოს, განათლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება (right through education).

განათლებას საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებს პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა[86]. ასევე, განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო იუნესკოს კონვენცია,[87] რომელსაც საქართველო 1992 წლიდან შეუერთდა, მოუწოდებს ქვეყნებს ისეთი პოლიტიკის, მეთოდების და მიდგომების გამოყენებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ დისკრიმინაციის დაუშვებლობას განათლების სფეროში. ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (2010)[88], მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, განათლების სფეროსა და სწავლების მეშვეობით გააძლიერონ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა და ხელი შეუწყონ ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის აღმოფხვრას. განათლების საკითხს ასევე ეხება მდგრადი

---

[84] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994წ. 22 სექტემბრის N 561 დადგენილებით, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf

[85] CEDAW, General recommendation No. 36 (2017) on the right of girls and women to education; https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_36_8422_E.pdf

[86] პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, სტრატეგიული მიზანი B. shorturl.at/oHQ27

[87] UNESCO-1960-12-14, განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, 2019; https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0

UNESCO-1960-12-14, განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, 2019; https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0

[88] CoE, Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education: https://www.coe.int/en/web/edc/charter-on-education-for-democratic-citizenship-and-human-rights-education

განვითარების მე-4 მიზანი,154 რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, 2030 წლისთვის ყველას უზრუნველყოფას ინკლუზიური და თანასწორი განათლებით და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობით.

ადგილობრივ დონეზე

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად[89], სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“[90] თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს, ასევე უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“[91] თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებად განსაზღვრულია: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო

მუნიციპალურ დონეზე განათლების სფეროში პოლიტიკას ანხორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. სამსახურის შემადგენლობაში შედის ორი განყოფილება: - კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება; - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

დებულების თანახმად, სამსახური უფლებამოსილია: - კოორდინაცია გაუწიოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის, სპორტისა და აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას; - კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპერქტიული გეგმების შემუშავება; - მოსახლეობის სპორტულ გამაჯანსაღებელი პროგამების შემუშავება, დანერგვა და

[89] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

90 საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010: https://matsne.gov.ge/ka/ document/view/91624?publication=9#!

[91] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=72

შესრულება; მუნიციპალიტეტის მასობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმების შემუშავება; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გამოვლენა და აღწერა; - მასობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიძება ახალგაზრდობის ჩართულობით; - საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია და ხელშეწყობა; - ურთიერთობის დამყარება სხვა ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

არსებული გარემოს მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით:

ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ემსახურება ბავშვთა და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები, სადაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაიღრმაონ ცოდნა კონკრეტულ საგანში ან დაეუფლონ მათთვის საინტერესო საქმიანობას.

ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებული წრეებია: - ქართული ენა და ლიტერატურა; - ლიტერატურული შემოქმედება; - მათემატიკა; - სახალისო მათემატიკა; - ინგლისური ენა; - რუსული ენა; - ხაზვა; - ჭადრაკი; - თეატრალური სასცენო მეტყველება; - თექა; - ქარგვა; - გობელენი; - ტანსაცმლის დიზაინი; - სამეჯლისო ცეკვა; - კულინარია;- სიმღერა; - ფანდური; - გიტარა; - ხატვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ქვეპროგრამად არის წარმოდგენილი. (დეტალურად იხილეთ დანართი #8).

კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	112.7	118.6	137.1	137.1	140.0	140.0
04 03 01	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	112.7	118.6	137.1	137.1	140.0	140.0

ცხრილი #7.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მომსახურებით მოსარგებლე პირების ასაკი 6-დან 29 წლამდეა, რაოდენობა კი 295 შეადგენს, მათ შორის გოგო 185-ია, ბიჭი -110.

თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

- **შეთავაზებული სერვისების ნაკლები ხელმისაწვდომობა**

სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებით, თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სერვისებით ძირითადად ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს, ვინაიდან მდებარეობის გათვალისწინებით, არ არის თანაბარი ხელმისაწვდომობა ქალაქის და სოფლის მაცხოვრებლებზე.

ნაკლებ ხელმისაწვდომობას გარდა მდებარეობისა, იწვევს ასევე არსებული სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის პირობებშიც ძნელია სოფლის მცხოვრებლებმა ისარგებლონ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისებით.

„სერვისების მიღების მთავარი ბარიერი მუნიციპალური ტრანსპორტია“

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

„მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ინფრასტრუქტურის გაფართოებასაც საჭიროებს, რადგან მის მიერ შეთავაზებული სერვისები ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის; “

(სამიზნე ჯგუფის მონაწილე მშობელი)

თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თელავის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, კერძოდ კი ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ შეთავაზებულ სერვისებზე გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების თანაბარი ხელმისაწვდომობის მხრივ გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდაცია 1:**

განათლების სფეროს გენდერული მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის, საერთაშორისო და ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი ჩარჩოს, მოკვლევების მიგნებების გათვალისწინების, სამოქალაქო სექტორის და მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის საფუძველზე შემუშავდეს ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე აღნიშნულ სფეროში;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - 2024 წელი

- **რეკომენდაცია 2:**

მერიის სამსახურებს შორის მჭიდრო კოორდინაციით სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სერვისების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი არამხოლოდ ქალაქის, არამედ განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები პირებისათვის;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 3:**

პროფესიული განათლების სფეროს პრიორიტეტს უნდა ჰქონდეს გენდერული მიზანი, შესაბამისად მოხდეს პრიორიტეტის მისაღწევად განსახორციელებელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პროგრამის და მისი ღონისძებების დაგეგმვა გენდერული ბიუჯეტირების ჭრილში, მოქალაქეების აქტიური ჩართულობის გზით. პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები შემუშავდეს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შესაბამისად;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 4:**

სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით დაინერგოს კვლევების, გამოკითხვების პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას განათლების სფეროში;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 5:**

განხორციელდეს სერვისებთან დაკავშირებული დეტალური გენდერული სტატისტიკის წარმოება სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 6:**

გაძლიერდეს საკრებულოს დარგობრივი კომისიის როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, შესაბამისად პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის, შესრულების ანგარიშების განხილვის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს მიწოდებული სერვისების გენდერული მგრძნობელობის გაზრდის მიმართულებით გასატარებელ საკითხებზე;

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 7:**

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით აქტიურად დაინერგოს განათლების სფეროს პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, განათლების სფეროს თემატიკაზე დასახლებათა საერთო კრებების ოქმებში აისახოს დამსწრეთა საერთო რაოდენობა, სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; ასევე, მოკლე ინფორმაციის სახით მიეთითოს კრებებზე ქალების მიერ დაყენებული ინიციატივები და საჭიროებები. პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენასთან დაკავშირებული კონსულტაციების ამსახველ ოქმებსა და ბიუჯეტის პროექტის, ასევე ბიუჯეტის

წლიური შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობა აისახოს სქესის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 8:**

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალური მედიის გამოყენებით მუდმივად განახლებად რეჟიმში განთავსდეს დეტალური ინფორმაცია მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი თითოეული საგანმანათლებლო სერვისის შესახებ, მ.შ. რეგისტრაციის პირობებისა და სერვისით სარგებლობისათვის საჭირო ყველა დეტალური ინფორმაციის შესახებ.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

- **რეკომენდაცია 9:**

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინფრასტრუქტურის გაფართოება, ადაპტირებული სივრცეების მოწყობა და მათ მიერ შეთავაზებული სხვადასხვა წრეების შეთავაზება სოფლად (მ/შ ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფელ ყარაჯალაში) გამოკითხვების შესაბამისად.

შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები - მუნიციპალიტეტის მერია

შესრულების ვადა - განგრძობითი

გამოყენებული წყაროები

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
3. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
4. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“
6. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“
7. საქართველოს კანონი “სპორტის შესახებ”
8. საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“
9. ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება
10. „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულება
11. „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილება
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება „კულტურის სტრატეგია 2025“
13. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“
14. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ შესახებ

15. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“-ს შესახებ
16. „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება
17. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია
18. თელავის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია
19. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა
20. თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგია

კვლევები და პუბლიკაციები

1. პოლიტიკის დოკუმენტი „გენდერული ბიუჯეტირების გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე“. ავტორი შორენა კახიძე
2. დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მუნიციპალიტეტებისათვის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ავტორი შორენა კახიძე.
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში. გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
5. “ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი. საქართველოს პარლამენტი.
6. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
7. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. 2021. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი.
9. მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი. 2022 წელი.
10. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში. ლიკა ჯალაღანია. თამარ დეკანოსიძე.
11. გენდერული მეინსტრიმინგი საქართველოს მიერ აღიარებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მომიხილვა. სახალხო დამცველი.
12. “ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
13. Gender Responsive Budgeting: Analysis of Budget Programmes from Gender Perspective. UN Women. 2016
14. Gender budgeting: practical implementation. Handbook. Sheila Quinn. 2009
15. Gender Budgeting in OECD countries. OECD. Ronnie Downes, Lisa von Trapp and Scherie Nicol

16. GENDER EQUALITY AND INCLUSIVE GROWTH: Economic Policies to Achieve Sustainable Development. UN Women. Edited by Diane Elson and Anuradha Seth.
17. Gender Budgeting: Fiscal Context and Current Outcomes. IMF. by Janet G. Stotsky
18. Gender Budgeting in G20 Countries. IMF. Virginia Alonso-Albarran, Teresa Curristine, Gemma Preston, Alberto Soler, Nino Tchelishvili, and Sureni Weerathunga
19. OECD Toolkit for Mainstreaming and Implementing Gender Equality. OECD.

დანართი #1 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები (ToR)

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	
თემატური მოკვლევა	
მოკვლევის თემა	"გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე"
თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	- ფიქრია ყუშიტაშვილი (მთავარი მომხსენებელი) - თინიკო ხანჯალიაშვილი (თანამომხსენებელი) - ნელიკო აბეჩხრიშვილი - მედეა ჩაფურიშვილი - ნონა გოგატიშვილი - გელა აზიკური - ფიქრია ყუშიტაშვილი - მარიამ ლილუაშვილი - თამარ ხატიაშვილი
თემატური მოკვლევის მიზანი	თემატური მოკვლევის **მიზანია** გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ

	შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პოლიტიკის მხარდაჭერა თემატური მოკვლევის **ამოცანებია:** - შეისწავლოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცებისათვის (მ.შ. სპეციალური საჭიროების მქონე პირები (მ/შ შშმ პირები), ეთნიკური უმცირესობები) მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხი; - შეისწავლოს, თუ რამდენად ხდება მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ სერვისების შეთავაზება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით; - გამოავლინოს ის შესაძლო ფაქტორები/ბარიერები, რაც გავლენას ახდენს შესაბამისი პირების მიერ მუნიციპალური სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე; - მოახდინოს დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი; - მიგნებების საფუძველზე სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით შესაბამისი მხარეებისათვის შეიმუშავოს რეკომენდაციები.
საკითხის შესახებ	სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნული ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და შესაბამის დღის წესრიგში, პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმაში, ევროპული ქარტიაში ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ და რიგ სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. სპორტის (როგორც მაღალი მიღწევების, ასევე მასობრივი სპორტის), კულტურის, განათლების სფეროების გენდერული მნიშვნელობა არაერთი კვლევით არის დადასტურებული, აღნიშნულ სფეროებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმართული ასიგნებები ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი იქნას აღნიშნულ სფეროებში მუნიციპალურ დონეზე შეთავაზებული სერვისების გენდერული მგრძნობელობა.

	სპორტი, კულტურა, განათლება, გენდერულად მგრძნობიარე სერვისების დანერგვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე კვლევების განხორციელება, რიგ სხვა საკითხებთან ერთად გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითად მიმართულებებად არის განსაზღვრული საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დოკუმენტში[92]. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშში ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებაში მკაფიოდ მოცემულია ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოებმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებამდე უნდა უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კვლევების ჩატარება და მათ შედეგებზე დაყრდნობით უნდა შეიმუშავონ სხვადასხვა ტიპის სერვისები ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინებით.
თემატური მოკვლევის სამოქმედო გეგმა	თემატური მოკვლევის ჩატარების პერიოდი: 2024 წლის 1 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით ჩათვლით. • დასაბუთებული მოსაზრებების/დოკუმენტაციის წარმოდგენა - არაუგვიანეს 2024 წლის 15 მაისისა; • მიღებული ინფორმაციის ანალიზი - 2024 წლის 18 მაისამდე; • ზეპირი მოსმენების ჩატარება - 2024 წლის 16 მაისამდე; • დასკვნის მომზადება - არაუგვიანეს 2024 წლის 20 მაისისა.
დამატებითი ინფორმაცია მოკვლევის ეტაპების შესახებ	მიღებული მოსაზრებები გასაჯაროვდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, გენდერული თანასწორობის საბჭოს ოფიციალურ facebook გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა პირისათვის. მოსაზრებების მიღების შემდეგ თემატური მოკვლევის ჯგუფი გაეცნობა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ წერილობითი ფორმით მოწოდებულ მოსაზრებას, შეისწავლის მიღებულ ინფორმაციებს, გამოავლენს იმ პირებს, რომლებიც შემდგომში მოწვეულნი იქნებიან ზეპირი მოსმენის ეტაპზე და წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს მომხსენებლის სტატუსით. წერილობითი და ზეპირი მოსაზრებების გაცნობისა და მოკვლეული საკითხების შეჯამების შემდეგ, თემატური მოკვლევის ჯგუფის

[92] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0

	წევრები მოისმენენ განმარტებებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და იმსჯელებენ საკითხის მოგვარების გზებზე. ზეპირი მოსმენა წარიმართება მოკვლევის ჯგუფის წევრებთან, კითხვა-პასუხის რეჟიმში. არგუმენტირებული და რელევანტური მოსაზრებების ავტორები მოწვეულნი იქნებიან ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. თემატური მოკვლევის ჯგუფი მოამზადებს დასკვნას, რომელშიც აისახება თემატური მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაციები. დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ასევე გამოქვეყნდება ვებ-გვერდსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ოფიციალურ facebook გვერდზე. დასკვნაში ასახული რეკომენდაციები შესასრულებლად გადაეცემა შესაბამის მხარეებს.
ტექნიკური მოთხოვნები	
წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენა შეგიძლიათ ქვემოთ მოცემულიდან მხოლოდ თქვენთვის საინტერესო/თქვენს კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით	
გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს), წერილობითი ფორმით დასაბუთებული/არგუმენტირებული (უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტებს, ანგარიშებს, მონაცემებს და სხვა) მოსაზრებების წარმოსადგენად თელავის მუნიციპალიტეტში გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების კულტურის, სპორტის და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით. თემატურ მოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, ხედვები და თქვენს ხელთ არსებული მტკიცებულებები შემდეგ სფეროებთან მიმართებით: მიმართულება სპორტი:	

მიმართულება კულტურა:

მიმართულება განათლება:

დასაბუთებული მოსაზრება უნდა პასუხობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს ან მინიმუმ ერთ კითხვას:

1. შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) რა სახის სერვისებს სთავაზობს მუნიციპალიტეტი მოსახლეობას?
2. რომელი სამართლებრივი აქტი არეგულირებს სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებს შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება)?
3. რომელი პროგრამებით/ქვეპროგრამებით არის წარმოდგენილი მუნიციპალურ ბიუჯეტში შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) აღნიშნული სერვისები?
4. შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) როგორია აღნიშნული სერვისების დაფინანსების დინამიკა როგორც გასული 3 წლის, ასევე მიმდინარე და შემდეგი 4 წლის საშუალოვადიან პერიოდში?
5. რა სახის კვლევებს ეფუძნება შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისების მიწოდების შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება? როდის ჩატარდა უახლესი კვლევა შესაბამისი მიმართულებით?
6. პოლიტიკის რომელ დოკუმენტს/დოკუმენტებს ეფუძნება შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) მუნიციპალიტეტის პოლიტიკა?
7. რა პერიოდულობით ხდება სერვისით მოსარგებლეების კმაყოფილების დონის კვლევა შესაბამის სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებთან დაკავშირებით?
8. როგორია შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებით მოსარგებლეების კმაყოფილების მაჩვენებელი? სერვისებით მოსარგებლეების ასაკის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, სპეციალური საჭიროებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.
9. თუ კვლევები არ ტარდება, რას ეფუძნება შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისების მიწოდება?
10. რამდენად ხდება შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისის შესაბამისი გენდერული სტატისტიკის წარმოება? და თუ ხდება რა პერიოდულობით? რომელი სამსახურის მიერ?
11. მოსახლეობის რა ნაწილი სარგებლობს შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებით? მ.შ. მიეთითოს გოგოების, ბიჭების, ქალების, კაცების რაოდენობა როგორც ასაკობრივ, ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა და ეთნიკურ ჭრილში.

12. თუ ხორციელდება შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისის მიწოდების ეფექტიანობის და ეფექტურობის შეფასება? და თუ ხდება, მასში რამდენად არის გენდერული ზეგავლენის შეფასება გათვალისწინებული?
13. როგორ შეაფასებდით შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებით მოსახლეობის სარგებლობის (მოთხოვნის) დონეს? რომელია ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად მოთხოვნადი სერვისები მოსახლეობის სქესის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილების, სპეციალური საჭიროებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიხედვით?
14. თქვენი აზრით, შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) არსებულ სერვისებში რა დამატებითი აქტივობების გათვალისწინებაა მიზანშეწონილი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად?
15. თქვენი აზრით, შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) რა დამატებითი სერვისების მიწოდებაა მიზანშეწონილი გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად?
16. რა არის შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებზე შესაბამისი პირების შეზღუდული წვდომის ძირითადი მიზეზი? (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
17. რა საშუალებებით არის ინფორმირებული პოტენციური ბენეფიციარი შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) არსებული სერვისების შესახებ?
18. არსებობს თუ არა ბარიერები სამართლებრივ, მარეგულირებელ ან/და ინსტიტუციურ ჩარჩოში, რაც ხელს უშლის შესაბამის პირებს შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებზე თანაბარ წვდომაში?
19. როგორ შეაფასებთ, რამდენად გენდერულად მგრძნობიარეა შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) პოლიტიკა?
20. შესაბამისი სფეროს (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) რომელი სერვისით გისარგებლიათ?

- თუ გისარგებლიათ, რა პერიოდულობით? როგორია კმაყოფილების დონე?
- თუ არ გისარგებლიათ, რა არის მიზეზი?

21. როგორ შეაფასებდით შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოწვევებსა და საჭიროებებს სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ჭრილში?
22. რა სახის სამართლებრივი, ინსტიტუციური და სხვა სახის (მიეთითოს) ღონისძიებები უნდა გატარდეს შესაბამის სფეროში (მიეთითოს: სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად?

<table>
<tr><td colspan="2">თუ თვლით, რომ გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა არსებობს რაიმე ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს შესაბამისი სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე, გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრება.</td></tr>
<tr><td>მოსაზრების ჩაბარების ბოლო ვადა</td><td>2024 წლის 15 მაისი</td></tr>
<tr><td>დოკუმენტური მასალის ჩაბარების პირობები</td><td>• ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე მხოლოდ Word ფორმატში;
• ტექსტის შრიფტის სახე – Sylfaen;
• ტექსტის შრიფტის ზომა – 11;
• სტრიქონებს შორის მანძილი – 1,15 ინტერვალი;
• ძირითადი ტექსტის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 3000 სიტყვას;
• ყველა ინფორმაცია უნდა იქნას მოქცეული ერთ ფაილში, მათ შორის: დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, და ა.შ.
• დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში პუნქტებად უნდა იყოს მოცემული მოკლე რეზიუმე შემდგომი ტექსტის შესახებ;
• აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ მიეთითოს ინფორმაცია პოტენციური მომხსენებლის შესახებ:
- იურიდიული პირის შემთხვევაში: ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო, საკონტაქტო ტელეფონი და ელ.ფოსტის მისამართი, ასევე საკითხზე პოტენციური მომხსენებლის ვინაობა;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი, საქმიანობის სფერო, საკონტაქტო ტელეფონი და ელ.ფოსტის მისამართი.
• მასალის გამოქვეყნებისას დაცული იქნება შესაბამისი პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობა;
• აბზაცები დანომრილი უნდა იყოს პარაგრაფებად;
• წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემებით გამყარებული მოსაზრებები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს სწორი ანალიზისა და დასკვნის გაკეთების საშუალებას;
• ტექსტი სასურველია მოიცავდეს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების მხრიდან მისაღებ ზომებზე;
• ასევე, ტექსტი შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას იმ სუბიექტების შესახებ, რომლებიც, უნდა მონაწილეობდნენ თემატური მოკვლევის პროცესში.</td></tr>
</table>

	დასაბუთებული მოსაზრება გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: abechkhrishvilin@gmail.com მეილის სათაურში გთხოვთ მიუთითოთ: გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე - თემატური მოკვლევა (გთხოვთ, დააკოპიროთ აქედან)
საკონტაქტო ინფორმაცია	მოკვლევასთან დაკავშირებით კითხვების ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით: ტელ: +995 599560283 ელ.ფოსტა: abechkhrishvilin@gmail.com Facebook:

დანართი #2 - მოკვლევის ფარგლებში წერილობითი ფორმით შემოსული დასაბუთებული მოსაზრებების ავტორები

- წინანდლის სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“
- ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი
- ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება
- ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა
- თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი
- არასამთავრობო ორგანიზაცია „კახეთის სამხარეო განვითარება“
- აკურის სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ „თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი“
- ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა
- ა(ა)იპ თელავის #2 სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ თელავის #1 სამუსიკო სკოლა
- კულტურის ცენტრი
- მშობლების ფოკუს-ჯგუფი

დანართი #3 - მოკვლევის ფარგლებში ზეპირი მოსმენის დღის წესრიგი

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

✅✅14 ივნისი, 2024 - 12:00 საათზე ჩანიშნულია თელავის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაინიცირებული თემატური მოკვლევის, "გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არა იურიდიული) პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე", ფარგლებში საკითხის მოსმენა. მოსმენა გაიმართება თელავის მუნიციპალიტეტის მერიის "ქალთა ოთახში".

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის, "გოგონებისა და ბიჭების/ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არა იურიდიული) პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე",

ზეპირი მოსმენა

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის "ქალთა ოთახი"

14 ივნისი, 2024

დღის წესრიგი

12:00 – 12:05	*მისალმება* - *ფიქრია ყუშიტაშვილი, თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარი მომხსენებელი* - *თინათინ ხანჯალიაშვილი, თანამომხსენებელი*
ზეპირი მოსმენა თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების მიერ (ნელიკო აბეჩხრიშვილი, მედეა ჩაფურიშვილი, ნონა გოგატიშვილი, ფიქრია ყუშიტაშვილი, მარიამ ლილუაშვილი, თამარ ხატიაშვილი, გელა აზიკური) თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არა იურიდიული) პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე ***მოდერატორი: თინიკო ხანჯალიაშვილი,** თემატური მოკვლევის ჯგუფის თანამომხსენებელი*	
12:05 – 13:00	1. *მშობლები, რომლებიც სარგებლობენ იმ სერვისებით, რომელსაც აწვდიან თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არა იურიდიული) პირები* 2. *არასამთავრობო ორგანიზაცია „კახეთის სამხარეო განვითარების“ წარმომადგენელი*

დანართი #4 - მოკვლევის ფარგლებში ზეპირ მოსმენებზე მოწვეული პირები

1. მშობლები, რომლებიც სარგებლობენ იმ სერვისებით, რომელსაც აწვდიან თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.
2. არასამთავრობო ორგანიზაცია „კახეთის სამხარეო განვითარების“ წარმომადგენელი

დანართი #5 - ზეპირი მოსმენის კითხვები

კითხვები მშობლებთან

23. თქვენი შვილების რაოდენობა

24. თითოეული შვილის სქესი და ასაკი
25. შესაბამის სფეროში (სპორტი, კულტურა, განათლება) რომელი სერვისებით სარგებლობთ?
26. ვინ არის აღნიშნული სერვისებით მოსარგებლე პირი? თავად თქვენ? თქვენი შვილი? ყველა შვილია ჩართული სერვისებში?
27. რატომ ჩაერთეთ აღნიშნულ სერვისებში?
28. რა მოგწონთ აღნიშნულ სერვისში? ინფრასტრუქტურა (მ.შ. ბიბლიოთეკაში ინტერნეტი, კომპიუტერები, კულტურულ ცენტრებში მუსიკალური ინსტრუმენტები), სერვისით სარგებლობის ღირებულება, (მიუთითეთ თუ უფასოა), დრო, პედაგოგი/მწვრთნელი, სასწავლო მასალა/საკითხავი მასალა, სწავლის მეთოდი, სწავლის ხარისხი.
29. რა დამატებითი ხარჯის გაღება გიწევთ სერვისით სარგებლობისას? მაგალითად სპორტული ტანსაცმლის შეძენა, მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა....
30. რამდენად კომფორტულია სერვისამდე მისასვლელი საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა? მ.შ. ავტობუსი, მისი გაჩერების ადგილი და დრო.
31. რას შეცვლიდით აღნიშნული სერვისის მიწოდებაში?
32. როგორ აფასებთ, რამდენად ხელმისაწვდომია აღნიშნული სერვისი სხვა პირებისათვის?
33. თქვენი მეგობრების, მეზობლების შვილები თუ სარგებლობენ სერვისებით და თუ არა მაშინ რა არის მიზეზი?
34. რომელი სერვისებით ვერ სარგებლობთ? და თუ არის ასეთი სერვისი, რა გიშლით ხელს სერვისით სარგებლობაში?
35. ხომ არ ყოფილხართ რესპოდენტი სერვისებთან დაკავშირებული რომელიმე კვლევის?
36. სერვისის მომწოდებელი რამდენად ზომავს თქვენი და თქვენი შვილის/შვილების კმაყოფილებას?
37. რამდენად ხშირია შეხვედრები პედაგოგთან?
38. შესაბამის სფეროში (სპორტი, კულტურა, განათლება) რა დამატებითი სერვისები გსურთ რომ იყოს შემოთავაზებული?
39. რა არის თქვენი რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიმართ სერვისების გაუმჯობესების მიზნით?

კითხვები არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან

1. რა არის თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებები და პრიორიტეტები.
2. თქვენი საქმიანობის ფარგლებში რა სახის სერვისებს სთავაზობთ თავად მუნიციპალიტეტის როგორც ხელისუფლებას, ასევე მოსახლეობას.
3. რამდენად ხშირად ეცნობით მუნიციპალიტეტის საქმიანობას, მის ანგარიშებს.
4. თქვენი საქმიანობის განხორციელებისას რამდენად გაქვთ აქცენტი გენდერულ თემატიკაზე და რა სახით?

5. რამდენად ხართ ჩართული შესაბამის სფეროში (სპორტი, კულტურა, განათლება) მუნიციპალურ დონეზე პოლიტიკის შემუშავებაში?
6. ხართ თუ არა მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოში ან სხვა რომელიმე საბჭოში წარმოდგენილი?
7. თუ ჩაგიტარებიათ რამე კვლევა შესაბამის სფეროში (სპორტი, კულტურა, განათლება) სერვისების მიწოდების შესახებ? მ.შ. კმაყოფილების შესახებ.
8. თუ ახდენთ შესაბამის სფეროში (სპორტი, კულტურა, განათლება) გაწერული სერვისების მონიტორინგს?
9. თუ გაქვთ შეხვედრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან? მუნიციპალიტეტის მერთან, სამსახურის წარმომადგენლებთან? მ.შ. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში?
10. თუ ესწრებით საკრებულოს სხდომებს? მ.შ. ბიუჯეტის პროექტის განხილვის და ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის განხილვისას?
11. რამდენად დაგიფიქსირებიათ თქვენი აზრი საკრებულოს სხდომაზე ზეპირი ან წერილობითი სახით შესაბამის სერვისებთან დაკავშირებით?
12. რა უკუკავშირი ჰქონდათ მუნიციპალიტეტების მხრიდან თქვენს პოზიციაზე?
13. თუ გაქვთ შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან? ძირითადად რომელი სქესის და რა ასაკის მოსახლეობას ხვდებით?
14. როგორია მოსახლეობის მოსაზრებები და რა არის მათი რეკომენდაციები?
15. რა არის გამოწვევები თქვენი მოსაზრებით სერვისების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით?
16. რა არის თქვენი შეთავაზება შემდგომი ჩართულობის კუთხით, რას გააკეთებს თავად თქვენი ორგანიზაცია როგორც დამოუკიდებლად ასევე მუნიციპალიტეტთან ერთად სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით?
17. რა არის თქვენი რეკომენდაციები და ვინ არიან შესაბამისი ადრესატები.

დანართი #6 – კულტურის სფეროს პროგრამები/ქვეპროგრამები

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			**2702.9**	**2827.0**	**2837.0**	**2920.0**
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ				

	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტებში მონაწილეობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარე-სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას. კულტურის ღონისძიებები და კულტურის ორგანიზაციების სერვისები იგეგმება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, რათა პასუხობდეს ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევა**ს** მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. შედეგი: ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.

#	**მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**	**ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს**	**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს**
1	სახელოვნებო სფეროში ჩართული მოზარდების რაოდენობა	2023 წელს - 601 (მათ შორის გოგო -427, ბიჭი - 174)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	10%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			**2645.90**	**2765.0**	**2770.0**	**2845.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ -ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა				

ქვეპროგრამის აღწერა	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებსა, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. შედეგი: ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.

#	**მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი**	**ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს**	**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს**
1	სახელოვნებო სფეროში ჩართული მოზარდების რაოდენობა	2023 წელს - 601 (მათ შორის გოგო -427, ბიჭი - 174)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	10%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2025 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2026 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2027 წლის დაფინანსება ათას ლარში**
05 02 01 01			**130.0**	**130.0**	**132.0**	**135.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხალხური შემოქმედების შენარჩუნებასა და განვითარებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიებასა და პოპულარიზაციაში. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. განხორციელდება შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, ანსამბლის ბაზაზე ფუნქციონიებს სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მოხდება მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შეუფერხებელი ფუნქციონირება, ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.				

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**ა(ა)იპ-სკოლისგარშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2025 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2026 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2027 წლის დაფინანსება ათას ლარში**
05 02 01 02			**144.0**	**157.0**	**158.0**	**160.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ-სკოლისგარშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1სამუსიკო სკოლა				

ქვეპროგრამის აღწერა	თელავის #1 სამუსიკო სკოლაში სწავლობს 132 მოსწავლე (გოგო - 91, ბიჭი - 41) შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			121.0	133.0	133.0	135.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 103 მოსწავლე (გოგო - 77, ბიჭი -26), შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 04			112.0	123.0	125.0	125.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში სწავლობს 120 მოსწავლე (გოგო- 90, ბიჭი -30), ისწავლება შემდეგ საგნები: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატი საგნების მოძიება-შეგროვება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე, ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი ,,თოფუზი", თბილისის ,,ოქროს პეპელა" და სხვები). ტარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა.				

კოდი	ქვეპროგრამის	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება"	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში

05 02 01 05	დასახელება		483.80	485.0	485.0	495.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება"				
ქვეპროგრამის აღწერა		ბიბლიოთეკა არის კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-დამხმარე ხასიათის ინსტიტუტი, რომელიც ორგანიზებას უწევს წიგნების, ჟურნალების, გაზეთების (ბეჭდური ნაშრომების) საზოგადოებრივ გამოყენებას. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა, სხვადასხვა დარგის : ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ,საბუნებისმეტყველო ,სამედიცინო,მხატვრული ისტორიული შინაარსის მქონე ლიტერატურა შესთავაზოს ყველა ასაკის მკითველს. ასევე ახალი ლიტერატურის მიღება ,აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგე ბარათების წარმოება.საინვენტარო დავთარში გატარება ,ელექტორნული კატალოგის შექმნა და არსებული საბარათე კატალოგის შევსება ახალი ბარათებით, ჟურნალ-გაზეთების, სტატიების კარტოთეკების შევსება მასალებით და მათი დამატება ელექტრონულ კატალოგში და სხვა...				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, სამაგიდო თამაშები და სალონური შეხვედრები, რომელიც ორინეტირებული იქნება , როგორც ახალგაზრდების ჩართულობასა და მივიწყებული წიგნების გაცოცხლებაში , აგრეთვე ახალი წიგნების გაცნობაში .				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 06			1225.0	1300.0	1300.0	1350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში, თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლების მეშვეობით, ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ – ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული და ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება/განხორციელება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება და სხვა); მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა და სხვა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 08			158.5	160.0	160.0	160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი				
ქვეპროგრამის აღწერა		კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ბავშვების გართობას ატრაქციონებით, ხორციელდება სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება/ განახლება, მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა.				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 09			70.0	77.0	77.0	80.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში სწავლობს 65 მოსწავლე (გოგო-49, ბიჭი - 16) სხვადასხვა განყოფილებებზე. ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილებები. მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 10			126.0	133.0	133.0	135.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 105 მოსწავლე (გოგო - 72, ბიჭი - 33) შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ფოლკლორი, გალობა; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, სოფ.ბუშეტის, სოფ.ქვემო ხოდაშნის და სოფ.წინანდლის მოსწავლეებს.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 11			75.4	67.0	67.0	70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა				
ქვეპროგრამის აღწერა		სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 51 მოსწავლე (გოგო 33, ბიჭი - 18).				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			**57.0**	**62.0**	**67.0**	**75.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვანთა და მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ხელშეწყობას, განხორციელდება მასტერკლას - სემინარები თანამედროვე ხელოვნებაში ოთხი მიმართულებით: თანამედროვე კინო. მუსიკა, თეატრი და მხატვრობა; სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა) და სხვა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა.				

#	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს
1	ინიციატორთა რაოდენობა	10	11		12	13	15
2	მონაწილეთა რაოდენობა	დაახლოებით 330 (მათ შორის გოგო- 50%, ბიჭი- 50%)	დაახლოებით 380 (მათ შორის გოგო - 50%, ბიჭი - 50%)		400	430	500

დანართი #7 – სპორტის სფეროს პროგრამები/ქვეპროგრამები

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01			2388.40	2,958.70	2,460.00	2,602.30
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				
პროგრამის აღწერა		სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება და სხვა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მიზანი: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა შედეგი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა				

#	მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს
1	სპორტის სახეობებში ჩართული მოზარდების რაოდენობა	2023 წელს სპორტის სახეობებში ჩართული მოზარდების რაოდენობა - 1728 (მათ შორის გოგო 330, ბიჭი-1398)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	10%-მომართვიანობა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			2208.40	2,230.00	2,270.00	2,407.30
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				

ქვეპროგრამის აღწერა	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა შედეგი: სპორტის სახეობებში ჩართული ბავშვთა და მოზარდთა გაზრდილი რაოდენობა

#	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს
1	სპორტის სახეობებში ჩართული მოზარდების რაოდენობა	2023 წელს სპორტის სახეობებში ჩართული მოზარდების რაოდენობა - 1728 (მათ შორის გოგო 330, ბიჭი-1398)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	10%-მომართვიანობა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 01			302.20	310.00	310.00	320.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება				
ქვეპროგრამის აღწერა		ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მომზადება. მომზადება, მოედნების აღჭურვილობის შეძენა და სხვა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ხელსაყრელი პირობების შექმნა ჩოგბურთში რეგულარული ჩართულობისათვის; ჩოგბურთში ჩართულობის ამაღლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 02			396.8	400.0	400.0	420.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“				
ქვეპროგრამის აღწერა		წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 03			976.1	980.0	1020.0	1100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება				
ქვეპროგრამის აღწერა		სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას, ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები: რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ფრენბურთი, ბილიარდი, სპორტული ტირი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02 04			533.0	540.0	540.0	567.30
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი				
ქვეპროგრამის აღწერა		ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი, კრივი, კარატე, ძალოსნობის, ძიუდო. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიების ორგანიზება.				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები, სპორტის სახეობების მიხედვით შეძენილი სპორტული უნარ-ჩვევების რეალიზება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03 01			**180.0**	**185.0**	**190.0**	**195.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას. თამაშები ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც ვაჟებში ისე, გოგონებში; განხორციელდება გუნდების რეგისტრაცია, რის შემდეგაც შეიქმნება კონკრეტული სახეობების კალენდარი და სამოქმედო გეგმა. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ სასკოლო ოლიმპიადაში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შესაბამისი სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სასკოლო სპორტის გააქტიურება; მუნიციპალური სპორტული ტურნირები ,,იცხოვრე სპორტით"; Off-Road - რთული რელიეფზე მანქანების რბოლა; მოტო სპორტი ენდურო-მოტოკროსის სახეობაში, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები - სამოქალაქო და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერით და მათი დაინტერესებით, რათა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება და სხვა.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მიზანი: სასკოლო სპორტის განვითარება. სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. შედეგი: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა				

#	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს
1	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	2023 სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა - დაახლოებით 430 (მათ შორის ქალი - 40 %, კაცი - 60 %)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	10%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

დანართი #8 – მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქვეპროგრამა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 01			**137.10**	**137.10**	**140.00**	**140.00**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი
ქვეპროგრამის აღწერა	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იმაღლებენ განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. უყალიბდებათ ჯანსაღი ცხოვრების წესი - თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: მათემატიკის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, ხატვის, დიზაინის, თექის, კულინარიის, ხაზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, რუსული ენის და სხვა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, აგრეთვე სხვადასხვა ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შემეცნებითი მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა თემებზე. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება და შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება.

#	**მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი**	**ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს**	**ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს**	**ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს**
1	სხვადასხვა წრეებში ჩართული მოსწავლეთა რაოდენობ	2023 წელს ჩართული მოსწავლეთა რაოდენობა - 295 (გოგო-185, ბიჭი-110)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	5%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა
2	კონფერენციებში, ტურებში ჩართული მოსწავლეთარაოდენობა	2023 წელს ჩართული მოსწავლეთა რაოდენობა -50	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	5%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა